საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვური სიფაქვაა, ფაქიზებით და ჭირებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 17 ოქტომბერი. 2018 წ. №207 (8608) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

პოლიტიკური აბორტი!

გულისტკივილით ვამბობთ, მაგრამ უნდა ვთქვათ, ახია!

ანუ, რაც მოგივა დავითაო...

აშკარა მტრის წინააღმდეგ პროგრესული ძალები დასაბამიდან ყოველთვის მიმართავდნენ „პოლიტიკურ გინეკოლოგიას“, რათა მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლებაში მოსვლის (თანაც უკვე მეორედ!) დაუოკებელი სურვილით შეპყრობილ ოპოზიციასთან ბრძოლის მთელი დაკარგული დრო სახელმწიფოს აღმშენებლობას მოხმარებოდა.

რასაკვირველია, ასევე შეეძლო მოქცევა (და აუცილებლად უნდა მოქცეულიყო კიდეც!) „ქართულ ოცნებას“, რომელმაც ნაციონალთა მავნებლობისგან და ჯოჯოხეთური სისტემისგან შეღონებული ხალხის მხარდაჭერით 2012 წლის არჩევნების შედეგად ხელისუფლების სათავეში მოვიდა ახალი იმედებითა და კეთილდღეობის გეგმით. ამ გეგმის ერთ-ერთი მთავარი მუხლი იყო ქვეყანაში ნეოფაშისტურ ნაციონალთაგან გაბატონებული მრავალწლიანი ჯოჯოხეთური უსამართლობის აღმოფხვრა და სამართლიანობის აღდგენა.

აქვე უნდა ითქვას, რომ ეს არა მარტო ხელისუფლებაში მოსული „ოცნების“ სამართლიანი გეგმის ნაწილი, არამედ ხალხის უპირველესი მოთხოვნა იყო. არაერთი ანტისახელმწიფოებრივი დანაშაულის ჩამდენ ნაციონალთ თავიანთი გულღრძო ფიურერის სააკაშვილის მეთავეობით მკაცრად უნდა ეგოთ პასუხი და მხოლოდ ასე და ამგვარად აღდგებოდა სამართლიანობა.

მაგრამ „ოცნებამ“, დღემდე გაუგებარია, თავისით თუ სხვათა, ეგრეთ წოდებულ „მეგობართა“ კარნახით, სრულიად მოულოდნელად ახალი ურთიერთობა შემოგვთავაზა უთუოდ ხალხის სახელით დასასჯელ ნაციონალებთან, და ეს ურთიერთობა თანაც ახალი ტერმინით „კოჰაბიტაციით“ შენიღბეს.

აი, სწორედ ამ ეგრეთ წოდებულმა „კოჰაბიტაციამ“, ანუ თანაარსებობამ, დაუდო სათავე ხალხის თვალში „ოცნების“ პოლიტიკურ დაღმავლობას. ქვეყნის დასაბამიდან ცნობილია, რომ მგლისა და ცხვრის თანაარსებობა შეუძლებელი საქმეა. „ოცნებამ“ კი რატომღაც გადაწყვიტა საქართველოში „ევროპის გასაოცებელი დემოკრატიის“ შექმნა. მაგრამ, როგორც ვხედავთ, როგორც მგელი ცხვრის ტყავს, ნაციონალები ისე ამოეფარნენ ამ „კოჰაბიტაციას“ და მთელი ეს ექვსი წელიწადი „ოცნების“ პოლიტიკურ გაბითურებას მოანდომეს, ანუ მომაცდენელ პოლიტიკურ კინკლაობაში თავით ფეხებამდე ჩათრეულ „ოცნების“ ხელისუფლებას მთელი ძალით მუშაობის გაშლის საშუალება არ მისცეს და საბოლოო ჯამში, როგორც ხელისუფლებას, გარკვეულწილად ავტორიტეტი დაუკარგეს.

ამ თვალსაზრისით, ლომის წილი მოდის თავის დროზე, ჩვეულებისამებრ, კანონიერი მფლობელისთვის წართმეულ „ცრუსთავი-2“-ზე, რომელსაც ერთ ფიურერად გაერთიანებულმა ჰიტლერმა და მუსოლინიმ, ანუ სააკაშვილმა, სათავეში ჩაუყენა თავისი უერთგულესი „პუჭურა“ ჰებელსი კაცობაგაუქმებული გვარამია, რომელიც უკვე ექვსი წელიწადია, მთელი 24 საათი სხვადასხვა ფორმით მხოლოდ ახალი ხელისუფლებისთვის თავლაფის დასხმას უნდება და, უნდა ითქვას, არცთუ წარუმატებლად.

ამის მერე განა შეიძლება იმის თქმა, რომ ჩვენ მართლა სუვერენული სახელმწიფო ვართ, რომლის მართლმსაჯულების სამივე ინსტანციამ კანონიერ მფლობელს დაუბრუნა ეს შხამ-გესლად მოჩუხჩუხე არხი და ეგრეთ წოდებულმა სტრასბურგის სასამართლომ კი უკვე მეორე წელიწადი ხდება, ქართულ მართლმსაჯულებას ცივი წყალი გადასხა და მსოფლიოს გასაგონად გვითხრა, თქვენი მართლმსაჯულება ერთ ადგილას გამოისვითო.

„ოცნების“ ხელისუფლებამ კი ისიც ვერ მოახერხა, რომ, როგორც ჩანს, საკაშვილის „ხელდასხმულ“ სტრასბურგისთვის ან „ჰო!“ ეთქმევინებინა ან „არა“! აი, იმ ბავშვისა არ იყოს, რატომ გასდის „პუჭურა“ ჰებელს-გვარამიას ამდენი ანტისახელმწიფოებრივი ნეხვის მირთმევა.

ამ საპრეზიდენტო წინასაარჩევნო დღეებში მავნებელ ნაციონალთა პოლიტიკურმა თავაწყვეტილობამ უკვე ევერესტს მიაღწია. დედამიწის გაჩენის დღიდან თუ რამ უკადრებელი არსებულა, ყველაფერი იკადრეს და კადრულობენ, რათა თუნდაც სისხლის დაღვრის ფასად როგორმე გააპრეზიდენტონ ვაშაძე ან იგივე მეორე ვაშაძე, ოღონდ გვარშეცვლილი, ამჟამად ბაქრაძე, რათა რაც შეიძლება კიდევ და კიდევ აამღვრიონ ისედაც შემაღონებლად ამღვრეული წყალი, რა არი, რაც შეიძლება დიდი, დიდი, ძალიან დიდი თევზი დაიჭირონ, ანუ აბრაგანი ჰკრან ბევრ წესიერ ადამიანთაგან ნოცნებარ „ოცნებას“... აი, ახლა გამოჩნდება, ვაითუ საბოლოოდ, რას დააჭერინებს ათასგვარი ცილისწამებისა და ჭორების აბლაბუდაში გახლართული „ოცნება“ ძალაუფლების ისევ ხელში ჩასაგდებად ნეოფაშისტ ნაციონალებს, რომლებიც (ჩანს, არცთუ ცოტას ენატრება), როგორც იმ მელას (მელიას) თავის მახრჩობელა რომ უყვარდა.

თავში რახან გინეკოლოგია ვახსენე, უპრიანი იქნება, თუ აქ გინეკოლოგიურ ტერმინსაც მოვიშველიებ. როგორც აგრეთვე შევატყვე ერთმა დიდად გამოცდილმა ხანდაზმულმა კაცმა, რომელსაც ბუკიას ბაღში შევხვდი, იქნებ სულაც გინეკოლოგმა, თავის თანატოლთან ჭადრაკის თამაშის დროს ასეთი რამ თქვა:

დღეს მეცნიერება უკვე იმ დონეზეა, წინასწარ ვიგებთ, ბიჭი იბადება თუ გოგო, ჯანმრთელი იბადება თუ სხვათათვის უბედურების მომტანადო, პოლიტიკაშიც ასეა. 2012 წლის შემდეგ ისევ და ისევ ნაციონალთაგან ეგრეთ წოდებული „კოჰაბიტაციით“ დაფეხმძიმებულ დროს დროზე უნდოდა მიხედვა. „ოცნების“ მხრიდან „კოჰაბიტაციის“ დროული **„პოლიტიკური აბორტი“** იყო საჭირო. ამის საჭიროებაზე ალბათ, ის ქალებიც არ იტყვიან უარს, ცხრა უღელ ხარ-კამეჩს რომ აჯობებენ, თუ გაიწიეს, და დღეს ბოროტმოძმედ ნაციონალებს უდგანან მხარში და ნაციონალურად ჭიკჭიკებენ (თაკო ჩარკვიანი, ელისო კილაძე, ირმა სოხაძე, თამრიკო ჭოხონელიძე, თეო ხატიაშვილი)

ასე რომ, ძვირფასო ოცნებავ, რასაკვირველია იცით, მაგრამ მაინც შეგახსენებთ, რაც მოგივა დავითაო, ისევ შენი თავითაო.

აი, ესეც თქვენი კოჰაბიტაცია! ესეც თქვენი ევროპის გამაოცებელი დემოკრატია!

ახლა ავდგეთ და ველოდოთ ოქუაშვილებისა და სუბელიანების ახალ ჩანაწერებს: თვალი არ მოაცილოთ სტრასბურგიდან საეჭვოდ მხარდაჭერილ შხამის თავწყაროს, დიდი ნეოფაშისტის სააკაშვილის მიერ ნაკარნახევი ქვეყნის გადატრიალების გეგმის გამხმიანებელი „პუჭურა“ ნეოფაშისტის გვარამიას „ცრუსთავი-2“-ის ეკრანს და ყური გაიფაციცეთ, კიდევ ბევრი სკანდალური სიუჟეტის მომსწრენი გახდებით.

ისე, მე და ჩემმა მზემ, ცუდი ნამდვილად არ არის — ვაშაძისგან 400 ლარი და ბაქრაძისგან 50 ლარი — სულ 450 ლარი პენსია! ოღონდ თუ ორსავე ერთად ავირჩევთ!

აბა, ჰე, გულუბრყვილო და მიამიტო ამომრჩეველო, წინ ისევ 2003 წლის ნოემბრისკენ!

იქ ხელვარდიანი გიულისა და სანდრას უკვე კარგა გვარიანად გაონეფაშისტებული ბიჭი გელოდებათ, რომ ისევ ჩვეული გზით გამოგატაროთ თქვენი მოწონებული ცხრაწლიანი ჯოჯოხეთი! როგორც ჩანს, ჯოჯოხეთსაც მიჩვევა სცოდნია!

გურამ წიკლაური

ნაცხროვა სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავს!!!

პრეზიდენტის პოლო „ფილოსოფიური“ პოდიუმი

არაადეკვატური ღიმილი...

არაადეკვატური ღიმილი პოლიტიკური ძალის მიერ, რომელსაც პასუხისმგებლობა აქვს აღებული ქვეყნის მართვაზე, არ მიმაჩნია შესაბამის და სწორ პასუხად, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე „ომეგა ჯგუფისა“ და ტელეკომპანია „იბერიას“ ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით განაცხადა.

მისი თქმით, ბრალდებებს არაფორმალური ჯგუფების, მათ შორის კრიმინალური ჯგუფების ჩარევის, რეკეტის ან ხელისუფლების ბოროტად გამოყენების თაობაზე, პასუხი გაეცა ასეთი პოზიციით — ეს თურმე ღიმილის მომგვრელია და სასაცილოა. პრეზიდენტის თქმით, ეს არც ღიმილის მომგვრელია და არც სასაცილო.

„ხაზი მინდა გავუსვა, რომ არც აქამდე, არც დღეს, არ ვაკეთებ შეფასებას ფარული ჩანაწერების. სტანდარტი, რომ მე არ ვაფასებ ფარულ ჩანაწერებს, არის ის, რომელიც მინდა შევინარჩუნო. ამავე დროს, მე ვაფასებ იმ პოლიტიკურ რეაქციას, რომელიც ამ მოვლენებთან მიმართებაში იქნა გამოვლენილი. საქმე იმაშია, რომ ბრალდებებს არაფორმალური ჯგუფების, მათ შორის კრიმინალური ჯგუფების ჩარევის, რეკეტის ან ხელისუფლების ბოროტად გამოყენების თაობაზე, პასუხი გაეცა ასეთი პოზიციით, რომ ეს თურმე ღიმილის მომგვრელია და სასაცილოა. ეს არც ღიმილის მომგვრელია და არც სასაცილო. ეს საკითხები ქართველი საზოგადოებისთვის მძიმეა და მიუღებელი. თუ პოლიტიკურ დისკუსიაში, ის რაც საზოგადოებისთვის მიუღებელია, არაადეკვატურ ღიმილს იწვევს, ეს პრობლემურია. არაადეკვატური ღიმილი პოლიტიკური ძალის მიერ, რომელსაც პასუხისმგებლობა აქვს აღებული ქვეყნის მართვაზე, არ მიმაჩნია შესაბამის და სწორ პასუხად“, — განაცხადა მარგველაშვილმა.

პრეზიდენტის მონაწილეობით მთავრობის სხდომა გავმართოთ!

პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძეს მიმართავს, უახლოეს დღეებში მთავრობის სხდომა მოიწვიოს, სადაც სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტიანი ფუნქციონირებისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვის საკითხები იქნება განხილული.

„გამოსავალს ვხედავ იმაში, რომ სახელმწიფო სტრუქტურებთან, საქართველოს მთავრობასთან ვითათბიროთ ვითარების სწორი შეფასებისა და შესაბამისი ზომების გატარების თვალსაზრისით. შესაბამისად, ვიყენებ ჩემს კონსტიტუციურ უფლებას და მივმართავ საქართველოს მთავრობას, პრემიერ-მინისტრს უახლოეს დღეებში მოიწვიოს მთავრობის სხდომა, სადაც მე სწორედ ამ საკითხების ანალიზის ანუ სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტიანი ფუნქციონირების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საკითხით გავმართავ მათთან შეხვედრას“, — განაცხადა მარგველაშვილმა.

მე კანაფის კულტივაცია-ექსპორტის წინააღმდეგი ვარ!

საქართველოს **პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი კანაფის კულტივაცია/ექსპორტის წინააღმდეგია. ორი მიზეზი არსებობს, რის გამოც ის ინიციატივას მხარს არ უჭერს.**

მისი განმარტებით, პირველი არის ის, რომ რთული იქნება მისი კონტროლი და მეორე — საგარეო ფაქტორით ეს იქნება ცუდი, რადგან მარიხუანას მწარმოებელი ქვეყანა არ არის ის იმიჯი, რის გამოც საქართველო უყვართ, აფასებენ და ეხმარებიან მას.

„სრულიად მიუღებელია ჩემთვის ნარკოტიკული საშუალებების წარმოება საქართველოში და მიუღებელია ორი მთავარი პოზიციიდან გამომდინარე — თუკი ჩვენ გავხდებით ნარკოტიკების მწარმოებელი ქვეყანა, ჩვენ ნამდვილად ვერ გავაკონტროლებთ ეფექტურად ნარკოტიკების გავრცელებას და ბევრად მეტი ადამიანი გახდება ამ სენის მსხვერპლი. მეორე ფაქტორია საგარეო პოლიტიკური თვალსაზრისი — საქართველო, როგორც ნარკოტიკების მწარმოებელი ქვეყანა — ეს არ არის ის იმიჯი, რისთვისაც ჩვენ ვუყვარვართ, გვაფასებენ, რის გამოც მხარს გვიჭერენ და გვიცავენ. ეს არის ძალიან რთული იმიჯი, რომელსაც შეიძლება მოყვეს რთული შედეგები. საქართველო ვერ იქნება ვერც მარიხუანის და ვერც სხვა ნარკოტიკული საშუალების მწარმოებელი ქვეყანა. ეს იარლიყი არ შეიძლება ჩვენს სამშობლოს მიეწეროს“.

ტრაგიკულია, რომ 10 წლისთავზე, დედაქალაქის მთავარ გამზირზე იგივე ტრაგედიით დგას შვილმკვდარი მშობელი!

ამის **შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე ზაზა სარალიძესთან დაკავშირებით განაცხადა.**

მისი თქმით, ირინა ენუქიძის მსგავსად, ზაზა სარალიძე ჩვენი შვილების სიცოცხლეს იცავს.

პოლიტიკური რეაქციები მოზარდების მკვლელობის საქმეზე, შემაშფოთებელია.

პრეზიდენტმა აქვე ისიც თქვა, რომ საზოგადოებაში ჩნდება განცდა, რომ სახელმწიფო ინსტიტუტების შესუსტება მისულია იმ დონემდე, რომ საფრთხე ექმნება ადამიანის უფლებების სახელმწიფოს მიერ ეფექტურ დაცვას.

თქვენი გმირობა ბრძოლის ველზე იყო და იქნება დაფასებული!

მინდა **მოგმართოთ ქართველ ჯარისკაცებს, რომ მიუხედავად პოლიტიკური დებატებისა, თქვენი წმინდა მოვალეობაა, დაიცვათ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.**

სამხედროების გმირობა იყო და იქნება დაფასებული და ამის თაობაზე კითხვები არ დაისმება.

„ქართველი ხალხი მადლიერია თქვენი თავგანწირვის. საქართველო, რომელიც ოკუპირებულია რუსეთის მიერ, რომელიც უსამართლო და უსაფუძვლო ომში იქნა თავდასხმის ობიექტი, ამ საქართველოსთვის სამსახურს მოქალაქეები გიფასებენ და ამისთვის მადლიერები არიან“...

სპორტზე პასუხისმგებელი მინისტრების მე-15 კონფერენცია თბილისში

საქართველოს **პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ გუშინ ევროპის საბჭოს სპორტზე პასუხისმგებელი მინისტრების მე-15 კონფერენცია გახსნა.**

მთავრობის მეთაურმა კონფერენციის მონაწილეებს სიტყვით მიმართა და ხაზი გაუსვა ღონისძიების თბილისში ჩატარების მნიშვნელობას. პრემიერ-მინისტრის თქმით, საქართველო უძველესი ცივილიზაციისა და კულტურული მრავალფეროვნების მქონე ქვეყანაა და ამავე დროს, განთქმულია უძველესი სპორტული ტრადიციებით.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, სპორტის სფეროს სპორტული მნიშვნელობის გარდა, სხვა დატვირთვაც მიენიჭა და დღის წესრიგში დადგა ისეთი გლობალური მნიშვნელობის საკითხები, როგორიცაა ძალადობის, რასიზმის, დისკრიმინაციის, დოპინგის, გარიგებული თამაშებისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა და ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, მისასალმებელია, რომ სახელმწიფო უწყებები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ტრანსნაციონალური კორპორაციები თუ არასამთავრობო ორგანიზაციები მნიშვნელოვნად ზრდიან თავიანთ კონტრიბუციებს სპორტის სფეროში და მათ შორისაა საქართველო. ევროპის საბჭოს სპორტზე პასუხისმგებელ მინისტრთა მე-15 საიუბილეო კონფერენცია ევროპის საბჭოს, EPAS-ის (გაფართოებული წილობრივი შეთანხმება სპორტის შესახებ) და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა.

მინისტერიალის ფარგლებში თბილისს ეწვივნენ ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მოადგილე გაბრიელა ბატაინი-დრაგონი, ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების სპორტზე პასუხისმგებელი მაღალი თანამდებობის პირები (სპორტის მინისტრები, მინისტრის მოადგილეები) საერთაშორისო სპორტული და არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

სალომე ზურაბიშვილი: მე არა ვარ თერგდალეული, მე სენადალეული ვარ

— **ასე** მიმართა ყაზბეგელებს პრეზიდენტობის კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა ამომრჩეველთან შეხვედრისას. პრეზიდენტობის კანდიდატმა ემიგრანტების დაბრუნებაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ამ ქვეყანაში დაბრუნება შესაძლებელია.

მე არ ვარ თერგდალეული,მე ვარ სენადალეული და თურმე ეს არის ამ ქვეყანაში დანაშაული ვიღაცებისთვის, ყველასთვის არა. ძალიან ბევრია წასული ჩემსავით, თუნდაც აქედან ყაზბეგიდან და სხვადასხვა ქვეყნებში არიან დღეს გადასულნი საცხოვრებლად, სამუშაოდ თუ სტუდენტებად და ჩვენი ქვეყნის მომავალი დიდ წილად დამოკიდებული არის იმაზე თუ იმათ როგორ დავუბრუნდებით. როდის დავაბრუნებთ,როგორ დავაბრუნებთ, რამდენად ღირსეულად დავაბრუნებთ და ამ კუთხით მე ერთგვარი სიმბოლო ვარ ამ დაბრუნების რომ შეიძლება ამ ქვეყანაში დაბრუნება. თუნდაც დღეს როცა ჯერ არ არის ფეხზე ისე დამდგარი როგორც ყველა ვისურვებდით, მაგრამ არის ის რასაც ჩემები ისურვებდნენ თავიანთ დროს. დამოუკიდებელი, თავისუფალი არის და აქვს ყველა საშუალება, რომ თვითონ განვითარდეს ბოლომდე.

როგორც კი პრეზიდენტი გავხდები, შევკრებ იმ სტუდენტებს, რომლებმაც უცხოეთში ცოდნა მიიღეს

— **ამის** შესახებ პრეზიდენტობის დამოუკიდებელმა კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა ყაზბეგში, მოსახლეობასთან შეხვედრისას განაცხადა. სალომე ზურაბიშვილმა იმ სტუდენტებზე ისაუბრა, რომელთა საზღვარგარეთ სწავლასაც ბიუჯეტი აფინანსებს და აღნიშნა, რომ ამ სტუდენტების მიერ მიღებული ცოდნის ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოყენება უნდა მოხდეს. **„ჩვენგან, მიდის ძალიან ბევრი სტუდენტი. ზოგიერთი კანდიდატი ამბობს რომ მე გავუშვებო, მაგრამ ამ ფონდით ვერავის ისე რაოდენობრივად ვერ გაუშვებს, მაგრამ დღეს უკვე ხელისუფლება უშვებს ძალიან ბევრ სტუდენტს, რომლებიც სწავლობენ სხვადასხვა ქვეყნებში. პრობლემა სად არის — ის კი არა, რომ ბიუჯეტიდან არ ფინანსდებიან, ის კი არა, რომ ნიჭიერი ახალგაზრდები არა გვყავს, ის კი არა, რომ იქაც არ ასახელებენ საქართველოს და ბოლომდე არ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებას, ის კი არა, რომ არ ბრუნდებიან როგორც უწერიათ თავიანთ ხელშეკრულებაში რაც, წასვლისას რაზედაც აწერენ ხელს. პრობლემა ის არის, რომ როცა ბრუნდებიან,სახელმწიფო ვერ ხვდება როგორც უნდა დახვდეს და ხშირ შემთხვევაში სახელმწიფო ეუბნება რომ “ბოდიში მაგრამ თქვენთვის ადგილი არა გვაქვს“ და ისინი ისევ მიდიან. ეს არის ის რაც ძალიან სწრაფად უნდა გამოსწორდეს. მე როგორც კი ვიქნები არჩეული პრეზიდენტი,შევკრებ ამ ახალგაზრდებს ვინც დაბრუნდება. ,იქაური ცოდნით, იქ გატარებული წლების გამოცდილებით და ვნახოთ როგორ შეიძლება, რომ ესენი მოვახმაროთ იმ ქვეყანას რომელმაც მათთვის დახარჯა თავისი ბიუჯეტის თანხები.ეს არის სწორი მიდგომა და ეს ქვეყანა ასევე ამით უნდა გაძლიერდეს“,** — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲬᲧᲝᲑᲓᲐ ᲞᲣᲢᲘᲜᲘᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ-ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲐ?!

„ᲜᲐᲪᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲐ“?!

„ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ-2“ თავისივე დაგებულ კაკანათში კვლავ გაიხლართა. ვინაიდან, ხელისუფლებამ „ოპოზიციური აზრის“ მონოპოლიზებაზე ლიცენზია მისცა, მიაჩნიათ, რომ მათგან ტირაჟირებულ ნებისმიერ ფაქტს ყველა უაპელაციოდ და ერთმნიშვნელოვნად მიიღებს!

ამჟამად, მორიგი ფარული ჩანაწერის გავრცელების დროს, მათი ინტერესი რუსეთის მთავრობისადმი ვანო ჩხარტიშვილის (ანუ დღევანდელი „ოცნების“) მიერ გაკეთებული შეთავაზების გამო, საზოგადოების აღშფოთების გამოწვევა იყო.

ფარული ჩანაწერების პოლიტიკურ ცხოვრებაში გამოყენება ცალკე საუბრის თემაა, ჩხარტიშვილმა თავისი ქმედების მოტივი თავად უნდა განმარტოს, ჩვენ კი საზოგადოების ყურადღება ამ ფაქტის სხვა რაკურსზე გვინდა გავამახვილოთ.

სერგეი ნარიშკინი რუსეთის პრეზიდენტის პუტინის ადმინისტრაციის უფროსი იმ პერიოდში იყო, როდესაც რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ ომს აწარმოებდა. პუტინ-სააკაშვილს ძალიან „დაეძაბათ“ ურთიერთობა, პუტინი სააკაშვილს „ერთი ადგილით“ დაკიდებას ჰპირდებოდა, ხოლო სააკაშვილი მას „ლილიპუტინს“ უწოდებდა და ამაყად აცხადებდა: „პუტინი ეცადა და ვერ დამამხოო“.

ჩანაწერის მიხედვით ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში ვანო ჩხარტიშვილი სთხოვს ნარიშკინს დახმარებას სააკაშვილის დამხობაში, ნარიშკინმა კი: „მერე მოკლედ გაიარა მაგან ეს საკითხები იქა ლავროვთან (რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან) და იმასთან (გასაგებია ვისთანაც!)“ და „ვერაფერი ვერ შემოგვთავაზა“, **ანუ პუტინმა სააკაშვილის „დამხობაში“ მონაწილეობა მსჯელობის (!) საგნადაც არ აქცია.**

„რუსთავი-2“-ის გავრცელებული ფარული ჩანაწერიდან გამოდის, რომ ან რუსეთი ისეთი დემოკრატიული სახელმწიფოა, რომ მასთან ომის მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის საშინაო საქმეებში არ ერევა (!) და მისი მთავარსარდლის „დამხობის“ შემოთავაზებულ წინადადებაზე უარს ამბობს (!), ან პუტინს აწყობდა ქვეყნებს შორის ომის დროს სააკაშვილის პრეზიდენტობა!

„რუსთავი-2“-მა, მისდა უნებურად, ამხილა სააკაშვილი და საკუთარი თავი მძიმე მდგომარეობაში ჩაიყენა: ან ერთი უნდა დაგვიმტკიცოს ან მეორე. თუმცა „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში არც არავინ მოსთხოვს, ამაზე თავი შეიწუხოს. მან მშვენივრად იცის, რომ „ქართულ ოცნებას“ სახელმწიფო პასუხისმგებლობის თუნდაც მცირე დონე რომ გააჩნდეს, ფარული ჩანაწერების გარეშეც უნდა გაეკეთებინა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომისა და სააკაშვილის რეჟიმის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება.

ნიშანდობლივია ჩანაწერის დასკვნითი ფრაზაც: **„რუსეთი ახლა ძალიან კომფორტშია ჩვენთან მიმართებაში, საქართველოსთან მიმართებაში კომფორტშია“.** დიახ, ასეთი პოლიტიკური კლასის პირობებში რუსეთი საქართველოსთან მიმართებაში მართლაც კომფორტშია!

ჩვენ კი ქვეყნის განვითარებისა და უსაფრთხოებისთვის სახიფათო არსებული მოცემულობის შეცვლის ნაცვლად არაფრისგადამწყვეტ მორიგ საარჩევნო ტრაგი-კომიკურ სპექტაკლში როლის მოპოვებით ვართ დაკავებული.

ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ,
ᲞᲐᲐᲢᲐ ᲙᲝᲚᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ,

P. S. თუ სააკაშვილი თვლის, რომ პუტინმა დანაპირები 2012 წელს „შეუსრულა“, მაშინ უნდა ახსნას „ქართული ოცნების“ მხრიდან რატომ იყო გაცხადებული „ნაცმოძრაობის გადარჩენა ქართული დემოკრატიის გამარჯვებად?!“

ᲤᲐᲠᲣᲚᲘ ჩანაწერები; ბიზნესსზე ზეწოლა; რეკეტი, სარდაფი, გაუპატიურება, მოღალატე — ხელისუფლების შეცვლიდან 7 წლისთავზე ოპონენტები „ქართულ ოცნებას“ იმ მეთოდით უპირისპრდებიან, რა მიზეზითაც ქართველმა ამომრჩეველმა „ნაციონალურ მოძრაობას“ თავის დროზე უარი უთხრა. ახალი კონსტიტუციით, რომელიც არჩევნების შემდეგ ამოქმედდება, ქვეყნის პრეზიდენტის უფლებამოსილება მინიმუმამდეა დაყვანილი, ამის მიუხედავად საპრეზიდენტო არჩევნები რთულ და მწვავე დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობს, ვიდრე მოსალოდნელი იყო.

დღეს რამაზ საყვარელიძე ჩვენი სტუმარია.

ᲠᲐᲛᲐᲖ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔ:

ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘ ᲠᲔᲕᲐᲜᲨᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲖᲔ ᲛᲘᲓᲘᲐᲜ!

— ბატონო რამაზ, როგორ ხსნით საპრეზიდენტო კამპანიის სიმწვავეს? კანდიდატები არ ერიდებიან პიროვნულ დაპირისპირებას და ამ შემთხვევაში თავდასხმის ობიექტი არის ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილი სალომე ზურაბიშვილი...

— ჩვენ დღეს რომ ვირჩევდეთ არა ქვეყნის პრეზიდენტს, არამედ პრეზიდენტის სასახლის დარაჯს, იგივე სიტუაცია იქნებოდა, რადგან ერთ-ერთი მთავარი მოტივი, რაც „ნაციონალურ მოძრაობას“ ამოძრავებს, ეს არის „ქართული ოცნების“ დამარცხება.

— სურვილი გასაგებია, მაგრამ რამდენად აქვს შანსი დაამარცხოს მმართველი გუნდი?

— შანსი ექნებათ, თუ ზურაბიშვილი ვერ მოიპოვებს ხმების საჭირო რაოდენობას. მაშინ წამყვან ფიგურად დარჩება „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი და მერე უკვე, როგორც პირობას დებს, ეს კანდიდატი, ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ მოხდეს „ნაციონალური მოძრაობის“ რეაბილიტაცია, ჩამოიყვანს ვინც ჩამოსაყვანია, ციხიდან გამოიყვანს ყველას და ა.შ.

აშკარაა, რომ ნაციონალები რევანშისთვის ემზადებიან და ამისთვის მიდიან ყველაფერზე, ხოლო რაზეც არის წამსვლელი ეს პარტია, ამას კარგად ვხედავთ. რეალურად, ეს არის არჩევნები მომავალი რეაბილიტაციისთვის, ოღონდ „ნაციონალების“ მხრიდან. ამიტომ „ნაციონალები“ აკეთებენ ყველაფერს, რაც შეუძლიათ. მათ კი შეუძლიათ მხოლოდ ტალახის სროლა. პოზიტიურსაც კი, რასაც სთავაზობენ ამომრჩეველს, ისიც ტყუილია, მაგალითად — პენსიების და ხელფასების გაზრდა, რაც არ არის პრეზიდენტის პრეროგატივა. საინტერესოა ისიც, რომ გრიგოლ ვაშაძეს მსგავსად პენსიებისა და ხელფასების ზრდაზე აკეთებდა აქცენტს „ევროპული საქართველოს“ საპრეზიდენტო კანდიდატი, დავით ბაქრაძე, მაგრამ დღეს მისი მთავარი გზავნილია სტუდენტების საზღვარგარეთ სწავლის დაფინანსება...

როდესაც დაიწყეს ლაპარაკი იმაზე, რომ კანდიდატები იტყუებიან და პრეზიდენტს ფუნქციურად არ აქვს უფლება პენსიების და ხელფასების მომატების, ამის შემდეგ დაიწყეს სხვა მიმართულების ძებნა და გამოძებნა ბაქრაძემ ახალი ნიშა, რომ პრეზიდენტს ექნება თავისი ფონდი და იმ ფულს სტუდენტებს დაახარჯავს. რომ ეთქვა პენსიების დავახარჯავ საპრეზიდენტო ფონდსო, გაჩნდებოდა კითხვები — როგორ? მაგრამ პოზიცია იქნებოდა ლოგიკური.

ახლა ჩნდება შთაბეჭდილება, რომ ოღონდ ხმები მოიპოვონ და ფრაგმენტულად უჩნდებათ პუნქტები იმისა, რას აფინანსებენ და რას არა. არ არის ერთიანი, გამართული სისტემა, კონცეფცია იმისა, როგორ მოიქცევა „ევროპული საქართველო“. „ნაციონალური მოძრაობა“ კი არც მაგაზე იწუხებს თავს.

— როგორ ფიქრობთ, სიძულვილის ასეთი მაღალი დონე, რასაც სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ აქვს ადგილი, რას აძლევს ოპონენტებს? მიუხედავად იმისა, რომ ზურაბიშვილის მიმართ არ არის აღფრთოვანება ამომრჩევლებში, ასეთი აგრესიული და ბინძური კამპანიის ფონზე აგრესია იმატებს ოპონენტების მიმართ...

— რა თქმა უნდა, საზოგადოების მხრიდან ნაციონალების მიმართაც გაიზრდება აგრესია. ამ ნაბიჯების შედეგად, იქნება უარყოფითი დამოკიდებულება. საზოგადოებას ჯერ კიდევ ცუდი დამოკიდებულება აქვს ამ პარტიის მიმართ. ხედავს ამომრჩეველი, რას ნიშნავს როდესაც პოლიტიკა ღალატობს ზნეობას. ოღონდ ერთი არის — თქვენ იკითხეთ: რატომ? — მათ სხვანაირად არ შეუძლიათ. მათ არ აქვთ რაიმე ჩანაფიქრი, რომ ასეთი აგრესიული კამპანიით რაღაც შედეგს მიიღებენ, უბრალოდ სხვანაირად არ შეუძლიათ და ეს არის მთელი პრობლემა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა იმის, რომ ასეთი აგრესიულები არიან, სწორედ ის არის, რომ მათ არ შეუძლიათ არააგრესიულად მოქმედება. შესაბამისად, ისინი აგრესიულები იქნებიან მერეც, რა თქმა უნდა, თუკი მოვლენ ხელისუფლებაში.

როდესაც კეთდება მოწოდება, რომ ზურაბიშვილი არის მოღალატე, რომ დაისჯება მისი ამომრჩეველი, ეს, ალბათ, არის ამომრჩევლის მიზანმიმართული რადიკალიზაცია. იგივე სალომე სამადაშვილი ამბობს, რომ ზურაბიშვილის არჩევა არის სახელმწიფოს ღალატი. ამას ამბობს ადამიანი, რომლის პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატი აცხადებს, რომ რა მნიშვნელობა აქვს ჯიბეში რუსული პასპორტი ედება თუ არა, რადგან სულით რუსია. საერთოდ ამ ორგანიზაციის მხრიდან რამდენად სწორად არის გათვლილი ფრაზა — მოღალატე და რაზეა ეს გათვლილი? იყიდის დასავლეთი, რომელიც კარგად იცნობს ზურაბიშვილს და მის მოღვაწეობას საქართველოში? იგივე რუსული ჯარის გაყვანას ისინი არ თვლიან ზურაბიშვილის დამსახურებად, ამბობენ, რომ ხელშეკრულების ვადა გადიოდა და უნდა გასულიყო, მაშინ, როდესაც რუსეთი ხელშეკრულებებს არ ცნობს, მთავარია, მას რა უნდა.

ᲡᲬᲝᲠᲘ ᲐᲥᲪᲔᲜᲢᲘᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲘᲜᲐᲮᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲣᲙᲐᲪᲠᲐᲕᲐᲓ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲤᲔᲮᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲣᲙᲘᲓᲔᲑᲘᲐ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ. ᲐᲮᲚᲐᲪ ᲛᲐᲒᲐᲡ ᲕᲩᲘᲕᲘᲗ, ᲠᲝᲛ 2008 ᲬᲔᲚᲡ ᲜᲐᲙᲘᲡᲠ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡᲝ ᲓᲐ ᲠᲐ, ᲘᲛ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲣᲭᲘᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ? ᲐᲛᲘᲢᲝᲛ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲐᲛ ᲙᲣᲗᲮᲘᲓᲐᲜ ᲙᲐᲛᲐᲗᲘ. ᲑᲔᲕᲠᲘ ᲓᲔᲢᲐᲚᲘᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲘᲛ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲐ, ᲠᲝᲛ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲔᲧᲕᲐᲜᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲓᲐᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲠᲐᲡᲐᲪ ᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑᲗ — ᲠᲐᲢᲝᲛ? ᲕᲘᲛᲔᲝᲠᲔᲑ, ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲡᲮᲕᲐᲜᲐᲘᲠᲐᲓ, ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ, ᲔᲡ ᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲕᲘᲖᲘᲢᲝ ᲑᲐᲠᲐᲗᲘᲐ.

მათ პოზიციას აქვს თავისი ლოგიკა, კერძოდ, მათ არ აინტერესებთ დიდი ჩანაფიქრები, თუნდაც რამდენიმე ხმაც რომ გამოგლიჯონ ზურაბიშვილის მხარდამჭერებს, ეს შედეგის მომტანი იქნება მათთვის, რადგან სხვა არაფერი შეუძლიათ შემოგვთავაზონ. კანდიდატად რომ შემოგთავაზებენ ადამიანს, რომელიც საკმაოდ ადვილად შეიძლება დააყენონ კითხვის ნიშნის ქვეშ, რაზეა ლაპარაკი. რესურსები არა აქვთ, არც იდეები არა აქვთ, ამიტომ მოქმედებენ ისე, როგორც შეუძლიათ.

იგივე ვაშაძე ამბობს, რომ ქვეყანას მართავს კრიმინალური კლანი, რომელიც ძარცვავს საკუთარ მოსახლეობას, ეწევა ბიზნესის რეკეტს, დევნის თავისუფალ სიტყვას და გეგმავს ნარკოტიკების მასშტაბურ წარმოებას ქვეყანაში — ამ ლოგიკას შეიძლება გაჰყვეს ამომრჩეველი, ან იგივე დასავლეთი? ჩვენ ხომ ვიცით, რომ მსგავსი შინაარსის განცხადებები ძირითადად დასავლეთისთვის კეთდება და მეორეხარისხოვანია ქართველი ამომრჩეველი...

ამ შემთვევაში განაცხადი ქართველი ამომრჩევლისთვისაც კეთდება, რადგან ხმები ჭირდებათ. მოგეხსენებათ, რომ საქართველოში არის ადამიანთა გარკვეული რაოდენობა, რომელიც მხარს უჭერს „ნაციონალურ მოძრაობას“, ამ ადამიანებთან დიალოგში ნებისმიერი ასეთი პოზიცია იქნება მხარდაჭერილი. ამ რიტორიკით მომხრეების რაოდენობა არ გაიზრდება, მაგრამ თავის მომხრეებს შემოიკრებენ და იქნებიან კმაყოფილი. თუ აღმოჩნდება, რომ ბევრია, მერე სხვა სცენარზე გადავლნენ, დაიძახებენ, რომ აი, ქუჩაში რამდენია და რახან ვერ გავიმარჯვეთ ე.ი. არჩევნები გაყალბდაო. ასე რომ, ეს რაუნდი კიდევ წინ გვაქვს.

ამ დაპირისპირების ფონზე სოციალურ ქსელში გაჩნდა ასეთი შეფასება, რომ ოპოზიციური კანდიდატებიდან ყველაზე პოზიტიურია დავით უსუფაშვილი და, რომ სწორედ, მისი ამოხაზვა იქნება სწორი არჩევანი. ამ აგრესიულმა კამპანიამ უსუფაშვილის როლი რამდენად გაზარდა? არის ასეთი შეფასებაც, რომ მან როგორც პოლიტიკოსმა აჩვენა, რომ პოლიტიკოსი შეიძლება იყოს პატიოსანი და არ იყოს კორუფციაში გარეული...

— კორუფციაში არ არის გარეული, მაგრამ პოლიტიკაში არ არის გადასარევი. მარტო კორუფცია ხომ არ არის ამ ქვეყანაზე, პოლიტიკაც ხომ უნდა იცოდეს ადამიანმა, როცა პოლიტიკასთან აქვს საქმე. როდესაც „რესპუბლიკელების“ ლიდერი იყო უსუფაშვილმა, ისევე როგორც სხვა რესპუბლიკელებმა გვანახა, რომ პარტნიორობა მათ ვერ შეძლეს, პრეტენზიულები იყვნენ და ფაქტიურად რესპუბლიკელების გამო დაიშალა კოალიცია. როცა პოლიტიკოსს იმის გათვლა არ შეუძლია, რა არის მისთვის მომგებიანი და არამომგებიანი, სწორად გათვლის რა არის ქვეყნისთვის მომგებიანი და რა არა?

— რასაც უსუფაშვილი იძახის — ყველანი კარგები ვიყოთ, დაახლოებით ასეთია მისი გზავნილი, კარგია, რომ ვიყოთ კარგები, მაგრამ როგორ უნდა ვიყოთ კარგები, როგორ უნდა შეიცვალოს ეს ვითარება, ამის მოდელი უსუფაშვილს არა აქვს. ამდენად, ის პოლიტიკურად პროდუქტიული ვერ იქნება. ვერ მიიღებს საკმარის რაოდენობას, ამაში თითქმის დარწმუნებული ვარ. ყოველთვის დაბალი რეიტინგი აქვს. ამიტომ მეეჭვება, რომ მოსახლეობისთვის მიმზიდველი გახდეს დავით უსუფაშვილის კანდიდატურა.

ᲗᲐᲛᲗᲐ ᲫᲐᲠᲩᲐᲕᲐ

გიორგი ქობულია:

ვინც მოასწრებს, მოასწრებს

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი ქობულია მიწის კანონში „დიდ დაბრკოლებას“ ვერ ხედავს. ასე პასუხობს მინისტრი ბიზნესმენთა ნაწილის განცხადებას, რომ უცხოელებზე მიწის მიყიდვის შეზღუდვის შესახებ კანონპროექტი დაბრკოლებებს ქმნის.

„ბევრი უცხოელი ინვესტორი არის უკმაყოფილო იმით, რომ ჩვენ ვიღებთ კანონს, რომლითაც უცხოელს საქართველოში მიწის შეძენა არ შეუძლია. მაგრამ ჩვენი შეხედულება ასეთია: უცხოელს შეუძლია, არენდაში აიღოს დიდი ხნით მიწა — 50 წლით. თუ მას ბიზნესის გაკეთება უნდა ამ მიწაზე, ეს სავსებით საკმარისია. ამასთან, თუ უცხოელი არის კომპანიაში ქართველთან ერთად, მას შეუძლია მიწის ყიდვა. მაგრამ მიწის ყიდვას არავითარი პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს ბიზნესის წარმოებისთვის, რადგან მიწის აღება იჯარითაც არის შესაძლებელი. 50 წელზე მეტ ხანს არც ერთი ბიზნესი არ ანგარიშობს ფუნქციონირებას.

ვერ ვხედავთ „მიწის კანონში“ ძალიან დიდ დაბრკოლებას. ეს არის მხოლოდ ფსიქოლოგიური. ვისთვისაც ეს ფსიქოლოგიური დაბრკოლებაა, ყველა საქართველოში ვერ განახორციელებს ინვესტიციას. ისედაც პატარა ქვეყანა ვართ და პირიქით, ვინც მოასწრებს, მოასწრებს“, — აცხადებს ქობულია.

მისივე თქმით, კანონი მიწის შესახებ რამდენიმე კვირაში იქნება მზად, ამჟამად კი მთავრობაში კონსულტაციები მიმდინარეობს.

რა ღირს ქართული ღვინო ჩინეთში და როგორი ღვინოები იზიდავთ ამ ქვეყანაში?

ჩინეთთან დადებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების შემდეგ, ქართული ღვინის ჩინეთში ექსპორტი განუზომლად გაიზარდა და დღეს მოსახლეობით მსოფლიოში ყველაზე დიდ ქვეყანაში ქართული ღვინის შეძენა დიდი ქალაქების გარდა, შედარებით მოკრძალებულ რეგიონებშიც კია შესალებელი, ჩინეთის მოთხოვნებსა და ჩვენი მეღვინეობის მასშტაბებს თუ გავითვალისწინებთ, ეს ტენდენცია მაგალითად ათი წლის წინ წარმოუდგენელი იყო.

ქართული ღვინის ექსპორტით ჩინეთი ერთი პერიოდი პირველ ადგილზეც კი იყო. ბოლო სამი წლის მანძილზე კი, მეორე-მესამე ადგილის ქვემოთ არასოდეს ჩამოსულა. ღვინის ექსპერტები დღეს კამათობენ იმაზე, თუ რამდენად წაადგება ქართულ მეღვინეობას ჩინეთისთანა უდიდეს ბაზარზე გრანდიოზული მასშტაბებით გასვლა, რადგან ქართულ მევენახეობას ფიზიკურად არ შეუძლია იმ რაოდენობის ღვინო აწარმოოს, რა მოთხოვნაც ჩინეთს გააჩნია. აქედან გამომდინარე, ავტომატურად დადგება (შესაძლებელია უკვე დადგა კიდეც) ღვინის ფალსიფიკაციის პრობლემა, რაც ჩვენი ღვინის იმიჯს ძალიან დააზარალებს. თუმცა, იმაზე არავინ დავობს, რომ ამ ეტაპზე ჩინეთის ღვინის ბაზარი საქართველოსთვის ერთ-ერთ სტრატეგიულ გასაღების ადგილად იქცა.

როგორც ჩინეთის სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები და ქართული ღვინის გაყიდვების სპეციალისტები ამბობენ, ჩინეთში ადამიანებს პირის გემო ძალიან განსხვავებული აქვთ რეგიონების მიხედვით. მაგალითად: ჩინეთის სამხრეთში ნახევრადმშრალი ან ნახევრადტკბილი ღვინოები მისწონთ, ჩრდილოეთის რეგიონებში კი უფრო მშრალი. ჩინელების 99% წითელ ღვინოს სვამს. კონიაკი და შუშხუნა ღვინო ჩინელებს ამ ეტაპზე ნაკლებად იზიდავთ. რაც შეეხება, ჩინეთის სპეციალიზებულ ღვინის მაღაზიებსა და დიდ სუპერმარკეტებს, - იქ საშუალოდ ე.წ. ასაღები ფასი დისტრიბუციაში 5-15 დოლარია. მაღაზიებში ცოტა მეტი (საშუალოდ 20-25 დოლარამდე), რესტორნებში 200-300%-იანი მარჟაა. ჩინეთში მცხოვრები ერთ-ერთი ქართველი რესტორატორი სიამაყით იხსენებს, რომ მან შეძლო და მაღალხარისხოვანი კახური საფერავი რესტორანში 3700 იუანად (სადღაც 600 დოლარი) გაყიდა, რაც იმაზე მოწმობს, რომ შეძლებულ ჩინელებს ხარისხოვან ქართულ ღვინოში ძალიან დიდი თანხის გადახდაც კი არ ენანებათ.

როგორც უკვე ვთქვით, ამ ეტაპზე ჩინეთში ცქრიალა ღვინო ყველაზე ნაკლებად აინტერესებთ და პეკინის ან შანხაის სუპერმარკეტებში იაფფასიანი ადგილობრივი, ევროპული ან სამხრეთ ამერიკის ცქრიალა ღვინო 1-2 დოლარად იყიდება, რაც ქართული ღვინის ჩინეთში ექსპორტიორებს ლოგიკურად აფიქრებინებს, რომ ცქრიალა როგორც ნახევრადტკბილი და ნახევრადმშრალი, ასევე ცქრიალა მშრალი ღვინის ჩინეთში გატანა არარენტაბელური იქნება.

ALLWINE.GE

თბილისი მოწესრიგებულ ევროპულ ქალაქს დაემსგავსება

დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ ქალაქში ურბანულ წესრიგზე პასუხისმგებელი, ზედამხედველობის განახლებული სამსახური — მუნიციპალური ინსპექცია წარადგინა.

როგორც კახა კალაძემ პრეზენტაციისას აღნიშნა, თბილისის მთავრობას კარგად აქვს გაცნობიერებული ყველა ის გამოწვევა, პრობლემა და მოსაგვარებელი სფეროები, რაც დედაქალაქში წესრიგის დამყარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მისი თქმით, თბილისის მუნიციპალური ინსპექცია ერთ-ერთი ის მძლავრი საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც, დედაქალაქი თანამედროვე, მოწესრიგებულ ევროპულ ქალაქს დაემსგავსება. დედაქალაქის მერმა განახლებული სამსახურის ფუნქცია-მოვალეობებზეც ისაუბრა, რომელთა შორის: კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე შენობებზე მიმდინარე სამუშაოებისა და უნებართვო მშენებლობების კონტროლი; სანებართვო პირობების დარღვევების გამოვლენა; სამშენებლო უსაფრთხოების ნორმების დაცვა; მშენებლობადამთავრებული ობიექტების ექსპლოატაციაში მიღება და სამშენებლო ტექნიკური ზედამხედველობა; უნებართვო გარე ვაჭრობისა და დასუფთავების წესების დარღვევების გამოვლენა-აღკვეთა; გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა; რეკლამის გავრცელების წესების კონტროლი და ხმაურის ნორმების გადაჭარბების ფაქტების აღკვეთა იქნება.

მისივე განმარტებით, მუნიციპალური სამსახურების დახმარებით, თბილისზე ზრუნვა და საზოგადოებრივი ქონების გაფრთხილება მოხდება.

„როცა მერად ამირჩიეს ეს სამსახური დაახლოებით, 147 თანამშრომლისგან შედგებოდა, მოძველებული იყო ავტოპარკი და ტექნიკური აღჭურვილობა. დღეს ჩვენ უკვე წარმოგიდგენთ თბილისის მერიის მომძლავრებულ მუნიციპალურ ინსპექციას, რომელსაც ფუნქციები და უფლებამოსილებები გაეზარდა, აღიჭურვა ახალი ტექნიკური შესაძლებლობებით, გაორმაგდა თანამშრომლების რიცხვი და განახლდა ავტოპარკი. ამ სამსახურს წინ ელის კოლოსალური შრომა და მათი საქმიანობის ეფექტურობა თბილისელების თანადგომასა და ხელშეწყობაზეა დამოკიდებული“, — განაცხადა კახა კალაძემ.

განახლებული სკოლები 37 ათასი მოსწავლისთვის

შრომის ბაზრის მოთხოვნებზე დაფუძნებული განათლების სისტემის დანერგვა საქართველოში — სწორედ ეს არის ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიზანი, რომლის განხორციელებასაც ფონდი აქტიურად უწყობს ხელს. აშშ-ის მთავრობის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი 140 მილიონი დოლარის გრანტის მეშვეობით, ფონდი ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სექტორში წარმატებულ და მნიშვნელოვან პროექტებს ახორციელებს.

ახალ 2018-2019 სასწავლო წელს ათასწლეულის გამოწვევის ფონდი — საქართველო 28 ახალი, სრულად რეაბილიტირებული სკოლით შეხვდა. შედეგად, მიმდინარე სასწავლო წელს, დამატებით 13 ათასამდე მოსწავლე სწავლას განახლებულ სასწავლო გარემოში აგრძელებს. საქართველოს მასშტაბით, ამჟამად, რეაბილიტირებულია მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში 58 საჯარო სკოლა. აღნიშნული რეაბილიტაციისთვის დახარჯულია 30 მილიონ დოლარზე მეტი.

ჯამში, ფონდი საქართველოს მასშტაბით, ქვეყნის რეგიონებში 91 საჯარო სკოლის სრულ რეაბილიტაციასა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვას ახორციელებს. მულტიფუნქციურ ლაბორატორიებში 140 დასახელების სხვადასხვა ლაბორატორიული აღჭუვილობა-დანადგარი მოსწავლეებისთვის საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლის არაჩვეულებრივ შესაძლებლობას ქმნის.

91 საჯარო სკოლის საერთო ფართობი 221 180 კადრატულ მეტრს აღემატება. აშშ-ის მთავრობის 140 მილიონი დოლარის გრანტიდან საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაციისთვის 56 მილიონი დოლარია გამოყოფილი. სარეაბილიტაციო სკოლები სტატისტიკური მოდელის გამოყენებით შეირჩა.

აღსანიშნავია, რომ ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ რეაბილიტირებული სკოლები ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. სკოლებში უსაფრთხო და ენერგოეფექტური გათბობა და ელექტრომომარაგება ეწყობა. რეაბილიტაცია სეისმურ და კლიმატურ მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სკოლები არის უსაფრთხო და თანამედროვე სტანდარტების ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს.

ამ დროისთვის ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ საქართველოს მასშტაბით 33 სკოლის სრული რეაბილიტაციის პროცესი მიმდინარეობს, რომელთა ნაწილიც ექსპლუატაციაში 2019 წლის თებერვალში შევა, დანარჩენი სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები კი 2019 წლის გაზაფხულზე დასრულდება.

ახალი, კომფოტული, უსაფრთხო და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით აღჭურვილი 91 საჯარო სკოლა ჯამში 37 000 მოსწავლისთვის გააუმჯობესებს სასწავლო გარემოს. აღნიშნული, ძალიან მნიშვნელოვანია როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე, ამ სკოლებში მომუშავე პედაგოგებისთვის, რაც იქნება სტიმული და წინაპირობა, ქვეყნის განათლების ზოგადი განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

სკოლების სრული რეაბილიტაციის გარდა, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი — საქართველო საჯარო სკოლების მასწავლებლებს, დირექტორებსა და ფასილიტატორებს პროფესიული განვითარების ტრენინგებს სთავაზობს. რაც მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად რამდენიმე გრძელვადიან ტრენინგ-მოდულს მოიცავს. ტრენინგები ჩატარდა და ახლაც მიმდინარეობს საჯარო სკოლების მასწავლებლებისა და დირექტორებისთვის.ჯამში, ფონდის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო და კვალიფიკაცია აიმაღლა 27 000 პედაგოგ-მასწავლებელმა, 4600-მა საჯარო სკოლის დირექტორმა და 3 300-მდე პროექტის ფასილიტატორმა. ეს კი,ზოგადი განათლების საფეხურის განსავითარებლად და მოსწავლეზე ორიენტირებული, ეფექტური სასწავლო გარემოს შესაქმნელად მნიშვნელოვანი და აუცილებელი პროცესია.

commersant.ge

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲘᲥᲪᲔᲕᲐ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐᲓ!..

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲦᲕᲐᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲣᲬᲔᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲦᲕᲐᲬᲚᲘ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲘᲐ.

ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲦᲕᲐᲬᲚᲛᲝᲡᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲒᲓᲐᲠᲘ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲐ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲛᲐᲕᲠᲐ ᲒᲐᲛᲔᲖᲐᲠᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ 60 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ 18 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲗ. ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘᲐ ᲐᲛ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘᲡ ᲒᲕᲐᲠᲘᲪ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲐᲦᲬᲠᲓᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲐᲖᲔ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲡ.

მავრა გამეზარდაშვილი 1926 წლის 1 აპრილს ჭიათურის რაიონის სოფელ რცხილათში, პედაგოგის ოჯახში დაიბადა. დაწყებითი განათლება იმავე სოფელში მიიღო, ხოლო შემდეგ სწავლა განაგრძო და 1943 წელს დაამთავრა ქვაციხის საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, 1947 წელს დაამთავრა ინსტიტუტის სრული კურსი გეოგრაფიის სპეციალობით.

საქართველოს განათლების სამინისტროს განაწილებით 1947 წლიდან 2007 წლამდე მუშაობდა ადიგენის რაიონის სოფელ ლელოვნის ჯერ 8-წლიან, ხოლო 1968 წლიდან — საშუალო სკოლაში, გეოგრაფიისა და გერმანული ენის მასწავლებლად.

ქალბატონი მავრა შრომით ფერხულში 1943 წელს ჩაება (მე-9 კლასში სწავლისას), როცა მოსწავლეები ეხმარებოდნენ სამამულო ომის ფრონტზე წასულ მეომართა ოჯახებს. ფიზიკურ შრომასთან ერთად ოჯახის ამანათებსაც უგზავნიდნენ ფრონტზე მყოფთ...

1947 წლიდან 1958 წლამდე პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად იყო პიონერთა ხელმძღვანელი. იგი რამდენიმეჯერ დაჯილდოვდა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის დიპლომითა და გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ ქების სიგელით, ტურისტული საგზურით და ა.შ.

1958 წლიდან 1978 წლამდე არჩეული იყო სკოლის პარტიული ორგანიზაციის მდივნად, 1978 წლიდან მდივნის მოადგილედ და კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარედ, პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარედ, ქალთა რაიონული საბჭოს ხელმძღვანელად, საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორად, მეთოდისტად. გამოცემული აქვს ნაშრომი (წიგნი) გეოგრაფიის მასწავლებელთა დასახმარებლად, რომელიც გამოსცა მასწავლებელთა დახელოვნების თბილისის ცენტრალურმა ინსტიტუტმა.

1970 წელს მონაწილეობა მიიღო მეათე რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის მუშაობაში, რომელზედაც წარდგენილმა მისმა ნაშრომმა მოწონება დაიმსახურა და დაჯილდოვდა საქართველოს განათლების სამინისტროს ქების სიგელით.

1970 წელში დაჯილდოვდა ვ.ი. ლენინის საიუბილეო (100 წლის) მედლით, ხოლო 1972 წელს — სამკერდე ნიშნით „სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული“. რამდენჯერმე არჩეული იყო საქ. სსრ ადიგენის რაიონული კონფერენციის დელეგატად, პარტიის რაიონული კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატად.

საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 3 ოქტომბრის ბრძანებულებით პედაგოგიურ სარბიელზე ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება.

ქალბატონმა მავრამ პედაგოგიური მუაობის პარალელურად შექმნა შესანიშნავი და ავტორიტეტული ოჯახი. მისი მეუღლე — მანაველ ბუიძე წლების განმავლობაში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობდა, ჰყავს სამი ქალიშვილი, რომელთაგან ორი დედის კვალს გაჰყვა. მისი უფროსი ქალიშვილი — მზია ბუიძე 23 წლის განმავლობაში საშუალო სკოლას ხელმძღვანელობდა, შექმნა ამ სკოლის ისტორია და სრული არქივი და თავის დასთან — მაყვალა ბუიძესთან ერთად ახალგაზრდების სწავლებისა და აღზრდის მამულიშვილურ საქმეს დღემდე განაგრძობს; მესამე ქალიშვილი — ლაურა ბუიძე კი მედიცინის მუშაკია.

ქალბატონი მავრა 60-წლიანი პედაგოგიური შემოქმედებით და ღვაწლით, ოჯახური ღირსებითა და სიწმინდით სიმბოლოა ქართველი მამულიშვილის ყოფიერებისა და შემოქმედებისა. საქართველოს ეროვნული ღირსება და სიდიადე სკოლისა და ოჯახის ბურჯზე უნდა იდგეს, ესაა ქართველი ერის საპატიო მისია. საქართველო ხომ ქართველი ერის სულიერი და მატერიალური სამკვიდროა მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურში.

ქართველები მჭევრმეტყველნი ვართ და ხშირად ზოგადად ვსაუბრობთ. ქალბატონ მავრას 60-წლიან პედაგოგიურ შემოქმედებაზე მის ცხოვრებაში ძალზე ბევრია კონკრეტული და რეალური ფაქტები, სამახსოვროც და სანიმუშოც.

პირველ რიგში გამოვყოფ ქალბატონ მავრას გაკვეთილების ხარისხობრივ დონეს. მის გაკვეთილზე ნებისმიერ მოსწავლეს ერთი წუთითაც კი არ რჩებოდა დრო, თუნდაც გაკვეთილის თემის მიღმა სხვა რამეზე ეფიქრა. იგი მთელი ყოფიერებით ჩართული იყო მოყოლისა და მოსმენის პროცესში, მას უნდა ეპასუხა მოულოდნელ კითხვაზეც, პარალელი გაევლო კითხვის მსგავს საკითხებთან, არ უნდა შეყოვნებულიყო და არ უნდა გაწითლებულიყო.

უნიკალურ თეორიულ და პრაქტიკულ განათლებას იძლეოდა იგი გეოგრაფიასა და გერმანულ ენაში. საკუთარ თავზე შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, გეოგრაფიის დისციპლინასთან ერთად (რომელშიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდაზე ფრიადი დავიმსახურე), სკოლის დამთავრების შემდეგ ბევრს გერმანულად საუბარი შეგვეძლო! როგორც დამრიგებელი, ვალდებულად თვლიდა თავს, მკაცრად გამოეკითხა თითოეული მოსწავლის მიერ წინა კვირაში გაცდენილი გაკვეთილისა და მიღებული დაბალი ნიშნების მიზეზები! ეს იყო დიდი განსჯის პროცესი, ჯგუფის 23-ვე მოსწავლეს ამ პროცესის გვეშინოდა და გვერიდებოდა.

მესამე და ერთ-ერთი მთავარი — მისი გაკვეთილი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ სასწავლო თემებით. ჩვენ ვალდებულნი ვიყავით, კვირის განმავლობაში წაგვეკითხა რომელიმე სამამულო თუ უცხოელი მწერლის ნაწარმოები, სისტემატურად გავცნობოდით პრესას, გვცოდნოდა, რა ხდებოდა რესპუბლიკაში, მთელ ქვეყანაში (საბჭოთა კავშირში), ადიგენის რაიონში და ა.შ.

1970 წლის 25 ივნისს ქალბატონ მავრას სადამრიგებლო კლასის მოსწავლეებმა ატესტატები მივიღეთ და დიდი ცხოვრების გზას დავადექით.

მოხდა საოცრება!

1970 წლის კურსდამთავრებულებმა მოვიცავით საქართველოს თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებელი: **ლოლა რობაქიძემ** — მისაღები გამოცდები გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩააბარა; **ლალი ბუიძემ** და **თალიკო ქურციკიძემ** — ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში; **რობინზონ წინწკალაძემ** — თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში; **თენგიზ ჩიხაძემ** — საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში; **ალექსანდრე ქარქაშაძემ** — თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში; **ზაურ კვატაშიძემ** — თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში; **ანტონ ნარიმანიშვილმა** — თბილისის სატყეო მეურნეობის ინსტიტუტში; **ელგუჯა ბოგვერაძემ** — საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში; **ზაურ ჩუბინიძემ** — ფიზკულტურის ინსტიტუტში; **მურად მაჭავარიანმა** — ზოოტექნიკურ ინსტიტუტში; **ნაზი წითაშვილმა** — მსუბუქი მრეწველობის ინსტიტუტში, თავად მე კი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

> და, მაინც ვინ არის მავრა გამეზარდაშვილი?
>
> **გიორგი ძოწენიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე:** „ქვეყანაში განათლების დარგი უაღრესად საჭირო და საპატიოა. მიგვაჩნია, რომ აქ მხოლოდ გამორჩეულები, შემოქმედნი და მოვალეობის გრძნობით აღსავსენი უნდა მსახურობდნენ. ერთ-ერთი ასეთი გამორჩეულია **მავრა ტარასის ასული გამეზარდაშვილი,** სწორედ ამიტომ მივანიჭეთ მას დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება“.
>
> **გიორგი ჯიბლაძე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი, აკადემიკოსი, 1976 წ.:** „მეამაყება, რომ ქვეყანაში გვყავს ღირსეულ მასწავლებელთა მთელი პლეადა — მავრა გამეზარდაშვილი და სხვები“;
>
> **ოთარ ძინძლაძე, საქართველოს განათლების მინისტრი. 1978 წ.:** „ჩვენ ვამაყობთ ისეთი დამსახურებულ მასწავლებელთა შემოქმედებით, როგორიც მავრა გამეზარდაშვილია“;
>
> **ამირან მეძვაბიშვილი, ადიგენის პარტიის რაიკომის პირველი მდივანი, 1970 წ.:** „ქვეყნის შენების დიდებული არქიტექტორები არიან ავტორიტეტული მასწავლებლები, ისინი ახალგაზრდა თაობის ცოდნის საფუძვლიანი აღჭურვით, საძირკველს — ფუნდამენტს უყრიან ქვეყნის აღმშენებლობას. მისასალმებელია, რომ ადიგენის რაიონში გვყვანან გამორჩეულები რესპუბლიკის მასშტაბით, ესენი არიან: შალვა ბოჭორიშვილი, კონსტანტინე ყვავაძე, მავრა გამეზარდაშვილი“.
>
> **პავლე გზირიშვილი, ადიგენის რაიონის განათლების განყოფილების გამგე, 1970 წ.:** „ნებისმიერი სკოლა ინატრებდა ისეთ კვალიფიციურ, პრინციპულ და ახალგაზრდებზე მზრუნველ მასწავლებელს, როგორიცაა მავრა გამეზარდაშვილი და სხვები“.
>
> **ბეგლარ ახვლედიანი, ახალციხის რაიონის განათლების განყოფილების გამგე, 1971 წ.:** „მასწავლებელთა რესპუბლიკურ თათბირ-სემინარზე გავიცანი ქალბატონი მავრა გამეზარდაშვილი, აღფრთოვანებული ვარ მისი კვალიფიკაციით“.
>
> **ვაჟა ბერიძე, 1970 წლის კურსდამთავრებული, ქალბატონი მავრას კლასიდან:** „ვულოცავ ქალბატონ მავრას 60 წლის პედაგოგიური შემოქმედებისა და დაბადებიდან 92 წლის იუბილეს. მიხარია, რომ ვარ ამ იდეის ავტორი. ქალბატონ მავრას ღვაწლი სცილდება ერთი სოფლისა და რაიონის მასწავლებლის დონეს. იგი საყოველთაოდ დამსახურებული სახალხო მასწავლებელია. ვიზიარებ იმ აზრს, რომ **მასწავლებელი ცოცხლობს მანამდე, ვიდრე თვითონ სწავლობს და როგორც კი თავს ანებებს სწავლას, მასწავლებელში კვდება მასწავლებელი!** ამ მხრივ, ქალბატონი მავრა ორმაგად დღეგრძელია: როგორც ფიზიკურად, ისე საგანმანათლებლო სულით.
>
> დაბოლოს, მაინც ვინ არის მავრა გამეზარდაშვილი? — მასწავლებელთა დღეგრძელი ლეგენდა! ღირსეული მამულიშვილი, ერის მოამაგე, პროფესიონალი, პრინციპული, პატივცემული მანდილოსანი და მრავალთა დედა, რომელსაც დავიწყება არ უწერია!

ᲕᲐᲟᲐ ᲑᲔᲠᲘᲫᲔ,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი.

ᲐᲓᲘᲒᲔᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲚᲔᲚᲝᲕᲜᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ 1970 ᲬᲚᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ.

მოგონება

ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲕᲐᲒᲔᲑᲗ ᲞᲐᲢᲘᲕᲡ!

ᲐᲓᲘᲒᲔᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲚᲔᲚᲝᲕᲜᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲡ, ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜ ᲔᲗᲔᲠ ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲡ, ᲛᲗᲔᲚ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲣᲠ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲡ!

ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲐᲓ ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ 50 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡ. ᲛᲘᲒᲕᲐᲩᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲙᲝᲚᲐᲛ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲐᲗᲐᲡᲝᲑᲘᲗ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲦᲣᲖᲐᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲐᲧᲔᲜᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲒᲖᲐᲖᲔ. ᲓᲦᲔᲡ ᲐᲡᲝᲑᲘᲗ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲕᲐᲒᲔᲑᲗ ᲞᲐᲢᲘᲕᲡ ᲓᲘᲓᲐᲓ ᲦᲕᲐᲬᲚᲛᲝᲡᲘᲚ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲐᲡᲬᲐᲡᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲝᲔᲑᲘ: **ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲧᲕᲐᲕᲐᲫᲔᲡ, ᲨᲐᲚᲕᲐ ᲑᲝᲭᲝᲠᲘᲨᲕᲘᲚᲡ, ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲜᲐ ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲡ, ᲛᲐᲕᲠᲐ ᲒᲐᲛᲔᲖᲐᲠᲓᲐᲨᲕᲘᲚᲡ, ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜ ᲙᲣᲑᲚᲐᲨᲕᲘᲚᲡ, ᲞᲐᲕᲚᲔ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔᲡ, ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲐᲑᲣᲚᲐᲫᲔᲡ, ᲕᲐᲡᲘᲚ ᲛᲐᲜᲕᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲡ, ᲪᲘᲡᲐᲜᲐ ᲘᲐᲡᲐᲛᲐᲜᲝᲕᲐᲡ, ᲗᲔᲜ�გᲘᲖ ᲦᲣᲚᲐᲫᲔᲡ** ᲓᲐ ᲡᲮᲕᲔᲑᲡ. ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲗᲘᲗᲗᲝᲔᲣᲚ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲡ!

ᲣᲤᲐᲚᲛᲐ ᲓᲐᲒᲚᲝᲪᲝᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲝᲗ!

ᲓᲘᲓᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲘᲗ, ᲡᲙᲝᲚᲘᲡ 1970 ᲬᲚᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ

ასე ამბობდა საღვდოჩ დალი

ქართულად გადმოაქცია გურამ გოგიაშვილმა

რჩევები დამწყები მხატვრისთვის

ამონარიდი სალვადორ დალის წიგნიდან – „ოსტატობის 50 მაგიური საიდუმლო“, 1948

ახალგაზრდა მხატვრები ძალიან ხშირად ცდილობდნენ, რომ როგორმე ეთქმევინებინათ დალისთვის, რა იყო იმისი განსაცვიფრებელი წარმატების საიდუმლო, ხოლო ცნობილ მხატვრებს აშკარად შურდათ და თვალში არ მოსდიოდათ თავიანთი კადნიერი კოლეგა.

და აი, 1948 წელს მზის შუქი იხილა დალის საოცარმა წიგნმა სათაურით – „ოსტატობის 50 მაგიური საიდუმლო“, რომელშიც მეტრი პროფესიულ რჩევებს აძლევს დამწყებ მხატვრებს. წიგნში გაშუქებულია ბევრი მომენტი – ოსტატობის ასპექტებით დაწყებული ყოველი ეპოქის მხატვრებზე დალის მოსაზრებით დამთავრებული. ეს მართლაც ფრიად უჩვეულო წიგნია, მასში სერიოზული, საგულო შეგონებანი გადმოცემულია ფანტასტიკური სიურრეალისტური მანერით. აქ მთელი სალვადორ დალი ჩანს!

* * *

დამწყებ მხატვარს ვურჩევ: ფილოსოფიურად მოიხილოს უღრუბლო ცის ლაჟვარდი (აჯობებს რომელიმე ხმელთაშუა ზღვის ქვეყანაში) და მხატვრის აზრი აღიქვას როგორც ლამპარი, რომელიც მთელ ჩვენს ცოდნას ნათელსა ხდის.

ათი მცნება რომელთაც იმან უნდა მისდიოს, ვინც მხატვრობას ეპირება

1. მხატვარი სიღარიბეს სიმდიდრეს ამჯობინებს – ამიტომ ასწავლე შენს ფუნჯს თუ ყალამს ოქროს და სპეკალის, ანუ ძვირფასი ქვების შობა.
2. ნუ გაშინებს სრულყოფილება – ვერცროდის იმას ვერ მიაღწევ!
3. თავდაპირველად ძველ ოსტატებსავით ჯერეთ საღებავებით ხატვა და წერა ისწავლე, მერმე რაც გინდა, ყველაფრის მოხელკეთილებას შეძლებ – და ყოველთაგან პატივცემული იქნები.
4. უარი არ თქვა საკუთარ ხედვაზე, შენს მანერაზე და შენს წარმოდგენებზე: ისინი წაგადგებიან, უკეთუ მხატვარი გახდი.
5. უკეთუ იმათ რიცხვს ეკუთვნი, ვინც ფიქრობს, ვითომც თანამედროვე ხელოვნებამ ვერმეერსა და რაფაელს გადააჭარბა, ეს წიგნი გვერდზე გადადე და განაგრძე ნეტარ იდიოტიზმში ყოფნა.
6. ნუ მიაფურთხებ საკუთარ ფერწერას, თორემ ისიც მოგაფურთხებს, როცა მოკვდები.
7. შედევრი და მცონარობა შეუთავსებელია!
8. ფერმწერო, წერე.
9. ფერმწერო, ნუ ჩაუშვებ სასმელს პირში და ნუ მოსწევ ჰაშიშს ცხოვრებაში ხუთგზის მეტად.
10. უკეთუ ფერწერას არ უყვარხარ, მთელი შენი ტრფიალი იმის მიმართ არც არაფერს არ ნიშნავს.

თეთრი საღებავის გამოყენების ხუთი წესი

1. ქვედა ფენა ტყვიის თეთრათი შეღებეთ.
2. ზედა ფენის შეღებვას რომ დაიწყებთ, თუთიის თეთრა გამოიყენეთ.
3. საუკეთესო საღებავს მიიღებთ, უკეთუ ტყვიისა და თუთიის ბელილას სამს ორთან მალიგორად, ანუ პროპორციით შევაზავებთ.
4. ვინაიდან თუთიის ბელილა ძალიან ხასხასაა, უნდა ვიყენებდეთ სუყოველი ზეთიდან ყოვლის უფრო უფერულ – ხაშხაშის ზეთთან შეზავებულს.
5. თუთიის ბელილათი მუშაობისას შეგიძლიათ სელის ზეთისთვის ერთი წვეთი ტერპეთინის დამატება.

ხუთი აზრი ხელოვნებაზე

1. ხელოვნება შთაბეჭდილებას უნდა ახდენდეს და არა გვაღელვებდეს.
2. უკეთუ კლასიკური ხელოვნება ცივია, ეს იმიტომ, რომ ამ ხელოვნების ალი მარადიულია.
3. რომანტიკოსთა ბრწყინვალება ცეცხლწაკიდებულ თივის ზვინს გვაგონებს.
4. უკეთუ თქვენი სურათი წინასწარვე ნათელია თქვენთვის, შეგიძლიათ, რომ აღარც დაწეროთ.
5. ლეონარდო და ვინჩიმ დაამტკიცა, რომ ფერწერა სუყოველ ხელოვნებაზე მაღლა დგას, ვინაიდან იგი ჩვენთა ორგანოთაგან ყოვლის უფრო კეთილშობილსა და ღვთაებრივს – თვალს მიმართავს. ყურისა და თვალის შედარება ისეთივე უაზრობაა, როგორც რომ ცხვირისა და ყურის შედარება.

სალვადორ დალი დიდ მხატვართა შესახებ

ისტორიაში თითოეული მხატვრის მნიშვნელობაზე სალვადორ დალის თავისი მოსაზრება ჰქონდა. რომელიმე გენიოსის რანგში აჰყავდა, რომელიმე გულწრფელად სძულდა. დალის სულაც არ ეშინოდა საკუთარი შენიშვნების გამოხატვა რაგინდარა საკითხის გამო, მით უმეტეს, ფერწერაზე – რაკი თავისი თავი გენიოსად მიაჩნდა, შესაბამისად, ყოვლის უფრო კომპეტენტურ კრიტიკოსობასაც ჩემულობდა...

მან „მნიშვნელოვან მხატვართა ტაბულაც“ კი შეადგინა, რომელშიც თავის მიერ შერჩეულ მხატვართა ნიჭიერებას აფასებდა გარკვეულ კატეგორიათა მიხედვით, აღსანიშნავია, რომ ამ ტაბულაში დალიმ თავისი თავიც ჩართო.

* * *

ათადან-ბაბადან ადამის შვილნი შეპყრობილნი არიან იმ მანიით, რომ ფორმას ჩასწვდნენ და ელემენტარულ გეომეტრიულ ობიექტებს მიეახლოონ. ლეონარდო ისეთი კვერცხის გამოგონებას ცდილობდა, რომელიც, ევკლიდეს თანახმად, თითქოსდა ფორმათაგან ყოვლის უფრო სრულქმნილს წარმოადგენდა. ენგრი უპირატესობას სფეროებს ანიჭებდა, სეზანი – კუბებსა და ცილინდრთ. და მხოლოდ დალიმ, ნატიფი თვალთმაქცობის პაროკსიზმში მარტორქის განუმეორებელ მაგიას აყოლილმა, ბოლოს და ბოლოს, მიაგნო ჭეშმარიტებას. ადამის შვილთა სუყოველ ოდნავ გაღუნულ ზედაპირს ერთგვარი საერთო გეომეტრიული საფუძველი აქვს, ხორცშესხმული ანგელოზური თვინიერების შთამაგონებელ სრულიად სრულქმნილ კონუსში, რომლის დამრგვალებული წვეტი მიმართულია ცისკენ ანდა დახრილია მიწისკენ და მარტორქის რქად არის ხმობილი.

* * *

რუსეთში, მიუხედავად ამ ქვეყნის უზარმაზარი მიწა-წყლისა და იმისა, რომ იქაური ხალხი გამოკვეთილად მხატვრულ ტემპერამენტს ფლობს – გაიხსენეთ რუსი მწერლები და კომპოზიტორები! – არცროდის არა ყოფილან დიდი მხატვრები. არა ყოფილან, არც არიან და არც იქნებიან. ეს განსაცვიფრებელი ფენომენი, უწინარესად ყოვლისა, უნდა აიხსნას თოვლით, თუმცა არის კიდევ არა ესოდენ სათვალმჩენო მიზეზები. არც ერთ თოვლიანი ზამთრის ქვეყანაში არცროდის კარგი მხატვრები არ ყოფილან, რადგან თოვლი თვალის ბადისებრი გარსის უბოროტესი მტერია. თოვლი ნებისმიერი ვიზუალური კულტურის უარყოფაა; თოვლის თეთრად ქათქათი, ანუ აზმაითი, რაც თოვლისგან თვალის ვნებას ნიშნავს, ადამიანს აუთვალსაჩინოებს, სწორედ ამიტომ რუს მხატვართა სურათებზე საღებავებს იისფერი ელფერი აქვთ, ისინი შერყვნილია ანილინის ჭარბი მჟავათი, რაც შხამია თვალისთვისაც და გონებისთვისაც.

* * *

სეზანის მიმდევართ მეტრის ხელგამდგარობა და ნაკლოვანებანი კანონად აღიარეს და თავიანთი მასწავლებლის ცდომილებაზე დაყრდნობილთ იმდენი წერეს თუ ხატეს, რომ ლამის ტილო გამოელიათ.

* * *

ენგრი რაფაელად გახდომაზე ოცნებობდა, ბოლოს მაინც ენგრი გახდა; რაფაელი ანტიკურობის მხატვართა დიდებაზე ოცნებობდა და სუყველას გადააჭარბა.

* * *

არის ერთი ესპანური ანდაზა, ხალხური სიბრძნე ცუდ მხატვართ რომ განსაზღვრავს: „თუ წვერებიანი გამოუვიდა – მაშასადამე, წმინდა ანტონი იქნება, თუ უწვერებო – უბიწო მუცლადღება: პიკასო, რომელიც ბევრად უფრო დრამატული შემთხვევაა, ვიდრე სეზანი – ბევრადვე უფრო გენიალურია, უფრო დამანგრეველი და ანარქიულია და არცროდის შემქმნელისა და პატრიარქის პრეტენზია არ ჰქონია – ხშირად იშველიებდა ამ ანდაზას, რომელიც ძალიან მოსწონდა, ეთანიებოდა და თავისი მხატვრული მანერის დევიზადაც აქცია. პიკასოსთვის კარგად ცნობილი იყო, რომ კარების შესაღები თეთრი ემალი, იქვე კუთხის დუქანში ნაყიდი, რომლითაც ის თავის ტილოებს ფარავდა, ერთ წელიწადში გაწებოიანებული გაზეთის ქაღალდსავით გაყვითლდებოდა! ზუსტად ასევე ეკლესიისთვის ცეცხლის წამკიდებელ ანარქისტსაც არ ეპარება ეჭვი, რომ ამას ტაძრის დასაწვავად შვრება და არა, გადასარჩენად.

(დასასრული იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №196-206

როცა მილიარდერები ღმერთებად იქცევიან...

ИЕРУСАЛИМИС ებრაული უნივერსიტეტისა და ოქსფორდის იესოს კოლეჯის კურსდამთავრებულის, 42 წლის დოქტორის ЮВАЛ НОЙ ХАРАРИС ახალმა წიგნმა „Homo Deus: მომავლის მოკლე ისტორიამ“ ნამდვილი ფურორი მოახდინა. წამყვანმა ლიტერატურულმა კრიტიკოსებმა იგი უკვე მონათლეს „ათწლეულის წიგნად“, თავად ავტორს „იერუსალიმის ახალი წინასწარმეტყველი“ უწოდეს.



ცნობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ლათინური „Homo Deus“ ქართულად „კაცღმერთს“ ნიშნავს. ისიც უნდა ითქვას, რომ პროფესორმა ჰარარმა სახელი თავისი პირველივე წიგნით „Sapiens: კაცობრიობის მოკლე ისტორიით“ მოიხვეჭა, რომელიც 50-ზე მეტ ენაზე ითარგმნა. ესაა იმის ისტორია, თუ როგორ იქცა უბრალო ამებიდან წარმოშობილი Homo Sapiens (ადამიანი გონიერი) ბუნების მეფეა , დედამიწის ერთპიროვნული მბრძანებელი.

ახალ ბესტსელერში იგი გაფრთხილებას იძლევა, რომ ახალმა ციფრულმა რეალობამ შესაძლოა, მოსპოს დედამიწაზე ამჟამად გაბატონებული ლიბერალიზმი, რომელსაც დატაიზმი, ანუ დიდ მონაცემთა რელიგია ჩაანაცვლებს, რის შედეგად ადამიანები სამარადჟამოდ გადაშენებული მამონტების ბედს გაიზიარებენ.

ავბედითი სამეული

ათასობით წლის მანძილზე კაცობრიობის წინაშე სამი ძირითადი პრობლემა იდგა, — წერს ჰარარი: **შიმშილი, მომსრეველი სენი (ანუ ჭირი)** და **ომი**. მთელი ამ ხნის განმავლობაში ადამიანები უამრავ ღმერთსა და წმინდანს ევედრებოდნენ გადარჩენას, ათასნაირ ხერხსა და სოციალურ სისტემას იგონებდნენ ამ უბედურებებისგან თავის დასაღწევად, მაგრამ მაინც ულმობლად იხოცებოდნენ შიმშილისგან, ეპიდემიებისა და ძალადობისგან.

თუმცა კი უკვე რამდენიმე ათეული წელია, რაც შიმშილი, ჭირი და ომები კაცობრიობამ ასე თუ ისე მოთოკა. ეს უბედურებები, რა თქმა უნდა, ბოლომდე დაძლეული კი არ არის, მაგრამ მათზე გარკვეული კონტროლის დაწესება მაინც მოხერხდა. მაშინაც კი, როცა ომები, მიწისძვრები და სხვა სტიქიური უბედურებები ლამის მთელ ქვეყნებს ანადგურებენ, საერთაშორისო დახმარების წყალობით შიმშილობის დაძლევა მაინც ხერხდება. **პირველად კაცობრიობის ისტორიაში ღორმუცელობა შიმშილობაზე მეტ ხალხს უსწრაფებს სიცოცხლეს, სიბერისგან უფრო ხშირად კვდებიან, ვიდრე ინფექციური დაავადებებისგან, თვითმკვლელობათა ოდენობა კი მეტია სამხედროებისა და დამნაშავეებისა თუ ტერორისტების ხელით დახოცილ ადამიანთა რიცხვზე.**

მაშ, რა მოელის კაცობრიობას, თუკი შიმშილი, ჭირი და ომები უკანა პლანზე დაიხევს?

„კაცობრიობის შემდეგი მიზნები უკვდავება, ბედნიერება და გაღმერთება იქნება — წინასწარმეტყველებს იუვალ ჰარარი. — **გადარჩენისთვის ცხოველურ ბრძოლაზე აღზევებულები, ჩვენ Homo Sapiens-იდან Homo Deus-ად, ანუ ღმერთებად გადავიქცევით“.**

ამ შემთხვევაში ჰარარი არა ღვთიურ მამაზეციერს, არამედ ადამიანების იერისა და მათი ვნებებით შეპყრობილ, ასევე ფანტასტიკური ნიჭით დაჯილდოებულ ძველბერძნული ღმერთების მსგავს არსებას გულისხმობს.

„ნეტარებისა და უკვდავებისკენ მისწრაფული ადამიანები, თვითსრულყოფის გზით, ფაქტობრივად, საკუთარი თავის ღმერთებად გადაქცევას ლამობენ, — აცხადებს ჰარარი. — **თუკი ჩვენ ოდესმე მოვახერხებთ ჩვენი ორგანიზმიდან სიკვდილისა და ტკივილის განდევნას, შემდგომ, ალბათ, მის „აწყობას“ საკუთარი ნება-სურვილით შევძლებთ, ათასობით ხერხს გამოვნახავთ საკუთარი ორგანოების, ემოციებისა და გონების სამართავად. ადამიანთა ღმერთებად გადაქცევა შესაძლოა, სამიდან ერთ-ერთი გზით წარიმართოს: ესენია ბიოინჟინერია, კიბორგ-ინჟინერია და არაორგანულ არსებათა ინჟინერია“.**

ელიტური მედიცინა

მაბრამ, თუკი ვინმეს ჰგონია, რომ დედამიწაზე ყველა ადამიანს მიწიერი სამოთხე, ერთგვარი კომუნიზმი ელის, როცა ყველას ყველა სურვილი აუსრულდება, ძალიანაც სცდება.

◎ ინფორმაცია თემაში

2010 წელს სიმსუქნემ და მის თანმხლებმა დაავადებებმა დაახლოებით 3 მილიონი კაცის სიცოცხლე შეიწირა. შიმშილმა და ცუდმა კვებამ — მილიონი; ტერორისტების ანგარიშზე კი 7697 მსხვერპლი ირიცხებოდა. 2012 წელს მსოფლიოში 56 მილიონი ადამიანი გარდაიცვალა, მათგან 620 ათასი ძალადობის მსხვერპლი გახდა (120 ათასი კაცის სიცოცხლე ომს შეეწირა, 500 ათასი კი დამნაშავეთა ხელით დაიღუპა). ამავე წელს სიცოცხლე თვითმკვლელობით 800 ათასმა კაცმა დაასრულა; 1,5 მილიონი კაცი დიაბეტით გარდაიცვალა. 2014 წელს ჭარბი წონა დედამიწის მოსახლეობაში 2,1 მილიარდ კაცს ჰქონდა, ხოლო შიმშილობდა და შიმშილობის ზღვარზე 800 მილიონი კაცი იყო. 2030 წლისთვის კი დედამიწის მოსახლეობის ნახევარზე მეტს ჭარბი წონა ექნება.

ეს მხოლოდ მდიდართა ხვედრი იქნება!

2017 წლის დამდეგს დედამიწის რვა ყველაზე მდიდარი ადამიანის ერთობლივი ქონების ჯამი იმდენივე იყო, რაც პლანეტის ყველაზე ღარიბი ნაწილის, კერძოდ კი, 9,6 მილიარდი კაცის მთელი ქონების ღირებულება და დანაზოგი! თანაც, უმდიდრეს ადამიანთა ქონება ყოველდღიურად იზრდება, ღარიბები კი უფრო მეტად ღატაკდებიან.

მაგრამ საქმე არა მარტო მზარდ უთანასწორობაშია: ცოტა ხანში სახელმწიფოებსა და ელიტებს შესაძლოა, სულაც გაუქრეთ ღარიბი მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვის სურვილი. გაცილებით გონივრული იქნება **(ცხადია, მათი აზრით — Ო.ტ.)** მთელი ძალისხმევის მიმართვა ერთ მუჭა ზეადამიანთა სრულყოფაზე. ამის შედეგად, მედიცინა მასობრივიდან ელიტურად, პერსონიფიცირებულად იქცევა. ეს „უკვდავები“ მილიარდობით ჩვეულებრივ მოქალაქეს იმაზე უკეთესად არ მოეპყრობიან, ვიდრე მე-19 საუკუნეში ევროპელები აფრიკელებს ექცეოდნენ.

ასეთია „ახალი იერუსალიმელი წინასწარმეტყველის“ საშინელი პროგნოზი, ამდენად, ტყუილად როდი უწოდა ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატმა, ფსიქოლოგმა **დანიელ კანემანმა** Homo Deus-ს შოკისმომგვრელი, უწინდელზე გაცილებით მძიმე ფიქრების აღმძვრელი წიგნი.

გუგლმა გიშველოთ!

იმ მოაზროვნეებს და მეცნიერებს შორის, ვინც დღესდღეობით სიკვდილის ძლევას ცდილობენ, პროფესორი ჰარარი განსაკუთრებით გამოყოფს ჰერონტოლოგ **ობრი დი გრესა** და გამომგონებელ **რეი კურცვეილს**. ისინი ირწმუნებიან, რომ 2050 წლისთვის ჯანსაღი სხეულის ყველა პატრონი, რომელიც კლინიკებში რეგულარულად გაივლის განახლების, ორგანიზმის გაახალგაზრდავების კურსებს, უკვდავების მიღების საუცხოო შანსს მიიღებს.

70 წლის რეი კურცვეილი არა მარტო „დედამიწის მთავარი ფუტუროლოგია“, რომლის პროგნოზები ხშირად მართლდება, იგი ასევე Google-ის გამომგონებელი და ტექნიკური დირექტორია. სხვა საქმიანობასთან ერთად, ცნობილი კომპანია ხელოვნური ინტელექტისა და ანტიასაკობრივი ტექნოლოგიების შექმნასა და ასევე, „სიკვდილის პრობლემაზე“ მუშაობს. მას ეჭვი არ ეპარება, რომ უკვდავება 21-ე საუკუნეში იქნება მიღწეული, ხოლო ოპტიმიზმი იმას ეფუძნება, რომ ტექნოლოგიები უსწრაფესად ვითარდება და, რაც მნიშვნელოვანია, ასევე მალე იაფდება.

ყველაფერი არც იმდენად საშიშია

კიდევ ერთი ფუტუროლოგი **დიმიტრი იცკოვი** თავს მორიდებულად „უკვდავების პროდიუსერს“ უწოდებს. იგი ადამიანის თავის ტვინის, ანდა მისი ციფრული კოპიოს გამძლე ხელოვნურ სხეულში გადატანას იმედოვნებს. თავის დროზე იგი ბრიტანელ „დამწყებ კიბორგთან“ **ნაიჯელ ეკლანდთან** თანამშრომლობდა, რომელმაც უბედური შემთხვევის გამო ხელი დაკარგა და მსოფლიოში ერთ-ერთმა პირველმა ბიონიკური პროთეზი მიიღო, რომელსაც აზრის ძალით მართავს: საჭმელს თავად იმზადებს, ფეხსაცმლის ზონარსაც იკრავს, კომპიუტერზეც ბეჭდავს და მანქანასაც მართავს. ხელმა მთელი დღე რომ შეუჩერებლად იმუშაოს, მისტერ ეკლანდი მას ღამღამობით მობილური ტელეფონივით ტენის.

„გონების კიბერსხეულში გადასახლება მობილურ ტელეფონში სიმბარათის მსგავსი ოპერაცია იქნება“, — ამბობს ფუტუროლოგი.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

რუსთავში ვაშაძის სარეკლამო ბანერებზე წითელი საღებავით კგბ დააწერეს

რუსთავში გაერთიანებული ოპოზიციის „ძალა ერთობაშია“ ოფისის კედლებსა და პრეზიდენტობის კანდიდატის გრიგოლ ვაშაძის სარეკლამო ბანერებზე წითელი საღებავით — კგბ დააწერეს.

„ძალა ერთობაშია“-ს ინფორმაციით, მსგავსი ფაქტი რუსთავში მდებარე ყველა ოფისზე და საქართველოს სხვა რეგიონებშიც დაფიქსირდა. მათივე ცნობით, გაერთიანება გეგმავს, სათვალთვალო კამერების ჩანაწერები დაათვალიეროს, რომლის შემდეგაც გაირკვევა, ვინ გააკეთა წარწერები გრიგოლ ვაშაძის სარეკლამო ბანერსა და ოფისის კედლებზე. ჩანაწერების ამოღების შემდეგ „ძალა ერთობაშია“ სამართალდამცველებსაც მიმართავს.

ვერ გამოვრიცხავთ – ეკა ბესელია მირზა სუბელიანისა და ენმ-ს შესაძლო გარიგებაზე

ვერაფერს ვერ გამოვრიცხავთ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩანაწერები „რუსთავი-2-ის“ ეთერში ჩნდება, ვისმენთ ნიკა გვარამიას ბოდვას, ძალიან ბევრი კითხვა ჩნდება, რასაც პასუხის გაცემა სჭირდება, – ამის შესახებ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ ჟურნალისტის კითხვასთან დაკავშირებით განაცხადა, რამდენად უშვებს მმართველი გუნდი, რომ ბრალდებული მირზა სუბელიანი შესაძლოა, გარიგებული იყოს „ნაციონულ მოძრაობასთან“.

მისი თქმით, მირზა სუბელიანს პირადად საერთოდ არ იცნობს და ეკრანის გარდა არსად უნახავს.

„უნდა გაირკვეს ყველაფერი. რასაც მირზა სუბელიანი ამბობს, კითხვას იწვევს, ეს ყველაფერი ახლა არჩევნების წინ რატომ ხდება და ვის ინტერესებში შედის. არჩევნების წინა დღეებში მსგავსი მეთოდები გვახსოვს და ცუდ ასოციაციას იწვევს. ვინმეს რომ არ დარჩეს განცდა, რომ ჩვენ ხელს ვაფარებთ ვინმეს, ყველაფერი უნდა გაირკვეს“, – განაცხადა ბესელიამ.

მირზა სუბელიანის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება!



სპეციალური პენიტენციური სამსახური ადასტურებს, რომ მირზა სუბელიანმა გუშინ თვითმკვლელობა სცადა.

როგორც გავრცელებულ განცხადებაში პენიტენციური სამსახური აღნიშნავს, სუბელიანის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

„სპეციალური პენიტენციური სამსახური ადასტურებს, რომ 2018 წლის 15 ოქტომბერს ბრალდებულ მირზა სუბელიანის მხრიდან ადგილი ჰქონდა სუიციდის მცდელობას, რაც დროულად იქნა აღკვეთილი სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ. მოცემულ ფაქტზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა დაიწყო გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით.

ღამის განმავლობაში პატიმარს გაეწია შესაბამისი სამედიცინო დახმარება, ხოლო გუშინ დილით მას კონსულტაცია გაუწიეს ფსიქოლოგმა და ფსიქიატრმა. ბრალდებული იყო და არის სულიერად აღელვებული, მაგრამ ის იმყოფება სამედიცინო პერსონალის ზედამხედველობის ქვეშ და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება“, – ნათქვამია განცხადებაში.

დანართი №1 (4 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2018 წლის „16“ ოქტომბერი
№ 01-01-3/415 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

N	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	საბადო ან გამოვლინება	კატეგორია	ლიცენზიის მოქმედების ვადა	მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა მ3/წელიწადში	საწყისი ფასი (ლარი)	ბე-ს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარი)
1	ქ.ბათუმი, ოპიზრების ქ.N97	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	3 წელი	5 000 $მ^3$/წელიწადში	58.00	220,00
2	ქ.ბათუმი, მეჯინისწყლის დასახლებაში	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	3 წელი	54 750 $მ^3$/წელიწადში	626,00	400,00
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება			აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო				
საიდენტიფიკაციო ნომერი			245429200				
მისამართი/ტელეფონი			ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10				
სარგებლობის ლიცენზიის სახე			სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია				
			ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;				

◎ უნდობლობაც, შიშიც!

აფხაზები: ქართველი ორი პარადოქსული გრძნობით იბადება: აფხაზეთისადმი სიყვარულითა და აფხაზების სიძულვილით

***რუსეთის** მიერ ოკუპირებულმა აფხაზეთმა რამდენიმე დღის წინათ „გამარჯვებისა და დამოუკიდებლობის 25-ე წლისთავი“ აღნიშნა. იმ დღეებში სოციალურ ქსელებში გავრცელდა ვიდეორგოლი, რომელმაც როგორც ქართულ, ისე აფხაზურ ფეისბუქ-ჯგუფებში ფართო განხილვა გამოიწვია. კადრებზე ასახულია, როგორ მღერიან სოხუმში ჩასული ქართველი ბავშვები ქალაქის სანაპიროზე ქართულად სიმღერას, რომელიც ქართველებისა და აფხაზების მეგობრობას ეძღვნება. ამასთან, მოზარდების ჯგუფი საქართველოს დროშას აფრიალებს.*

აფხაზი კომენტატორების რეაქცია უმთავრესად ნეგატიური იყო და ქართველებისადმი უკიდურესი სიძულვილის გამომხატველი სიტყვებიდან სოხუმის რეჟიმის ლანძღვამდე მერყეობდა (იმის გამო, რომ აფხაზ ხალხს გაჭირვებაში აცხოვრებს და ადგილობრივებს სამკურნალოდ თუ სხვა საჭიროებებისთვის ენგურს იქით უწევთ სიარული). აქა-იქ გვხვდება შედარებით უფრო რბილი პოზიციაც. თუმცა თითქმის ყველა კომენტარი გამსჭვალულია ქართველებისადმი უნდობლობით და შიშით.

ამის მიზეზებში გასარკვევად „პოსტის“ ქართველი ავტორის განცხადებისა და საპასუხოდ რამდენიმე აფხაზი ინტერნეტ-მომხმარებლის კომენტარების ქართულ თარგმანს გთავაზობთ:

სპარტაკ ჟორჟოლიანი: „ჩვენი ბავშვები უკვე ქალაქში არიან! ქართული სიმღერა სოხუმის სანაპიროზე“:

ელზა ჩანბა: ყველა აფხაზისთვის ამ დიდი დღესასწაულის დღეებში ეს „ბავშვები“ (ქსელში) ფოტოებს ავრცელებდნენ ქართული დროშით! თურმე, აქ ბიძასთან ჩამოსულან სტუმრად... რაღა გვეთქმის? – აფხაზეთი ყველაზე დემოკრატიული ქვეყანა ყოფილა, როგორც ჩანს, მთელს კავკასიაში.

გთხოვთ, ემოციური კომენტარებისგან თავი შეიკავოთ: რაც არ უნდა იყოს, ბავშვები არიან და მათში არაა საქმე: ისინი ფიქრობენ, რომ მათ ქვეყანას სიკეთე სურს.

Cecilia Cicba დღეს – ბავშვები, ხვალ – მთელი ხალხი... მათი მხრიდან არაფერი შეცვლილა და ამ ფონზე გასაოცარია ჩვენი მოდუნებულობა: ხვალ ხომ ისინი ჩვენს ბავშვებს არ დაზოგავენ, საინტერესოა, ვინაა ის ბიძია, ასეთი „ტოლერანტული“?

ნონა ჯოპუა: და მეტს რას უნდა ველოდოთ, თუ ჩვენები საქართველოში გარბიან ნემსისთვის (იგულისხმება ნარკოტიკი)?! ჩვენ არ ვართ დამოუკიდებლები!!! არ ვართ ერთიანნი!!! სამაგიეროდ, შური კარგად გვაქვს განვითარებული!!! ომის დროს ტელეფონებზე მოსმენები შემოიღეს და ვინც აფხაზურად საუბრობდა, პოულობდნენ და ხვრეტდნენ. დღეს კი, სადაც არ გაიხედავ, ჩვენ-

სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს ლიცენზიის გამცემის საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის
	შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; ზ)ჭაბურღილებზე მოსაწესრიგებელია თავმორთულობა და ჰერმეტიზაციას; თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით ა შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 17 ოქტომბრიდან დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 19 ნოემბერს დღის 18.00 საათზე
აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 19 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 19 ნოემბერს დღის 18.00 საათზე
სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

◎ უნდოგლოგაც, ზიზიც!

თან ერთად ცხოვრობენ, ცოლები მოჰყავთ, ცოლად მიჰყვებიან... ვინც ეს უბედურება გადაიტანა, ვისაც აქვს ეს იარა, მიმიხვდება...

ირა ძარხალავა: არ მიყვარს სიტყვა „პატრიოტი“... იცით, როდის ვიქნებით მიუწვდომლები? როცა ქვეყანაში წესრიგი იქნება და ყველა მოქალაქე – კანონმორჩილი, როცა ცივილიზებულად დავიწყებთ მოქცევას! ხოლო ის, რომ ბავშვებმა იმღერეს – ეს ყველაზე საშიში არ არის. ნუ გავიწყდებათ: ჩვენ მეზობლები ვართ და ამას ვერსად გავექცევით....ესე იგი, მათთან სამკურნალოდ სიარული შეიძლება და ბავშვებმა ჩვენთან იმღერონ – არა?!

რიმა ძიშმარია: ჯერ – ბავშვები, შემდეგ – უფროსები... ის თუ იცით, რომ მათ დაბადებიდან უნერგავენ სიყვარულს ჩვენი აფხაზეთის მიმართ და სიძულვილს აფხაზეთისადმი?! იბადებიან, იზრდებიან და კვდებიან ამ ორი პარადოქსული გრძნობით. სანამ ჩვენ აქ ერთმანეთისთვის ტალახის სროლით ვიყავით დაკავებულები, ისინი საყვარელ საქმეს აკეთებდნენ – ჩვენი აფხაზეთისკენ მოიწევდნენ.

ბევრად უკეთესი იქნებოდა, დამცინავი შარჟები და კომიქსები მტრისკენ მიგვემართა, ჯერჯერობით კი ამ საქმიანობაში წარმატებას მხოლოდ შიგნით, ერთმანეთის მიმართ ვაღწევთ. შეჯიბრი გვაქვს გაჩაღებული ერთმანეთისთვის ტალახის სროლაში... მტერი კი სხვადასხვა საძრომებს პოულობს თავისი მდაბიო საუკუნოვანი ოცნების აღსასრულებლად! გვმართებს, დავფიქრდეთ, საით მივმართოთ ჩვენი ბასრი ენები, თორემ მალე „ბრეხალოვკაზე“ ისევ ჩვენთან ერთად ისხდებიან და გალანძღავენ ჩვენს ხელისუფლებას – თუ, რა თქმა უნდა, ჩვენთვის საერთოდ დარჩება ადგილი...

მიდით, გამოდეთ რაც შეიძლება, მეტი შიდა ინფორმაცია, რაც მტერს ხელს მისცემს!

ნიკოლიდი ელენა: რა ბრძნული აზრია: მოდი, ჩვენს საქმეს თავი დავანებოთ და მეზობლების საქმის განხილვა დავიწყოთ – რა ცუდი ცხოვრება აქვთ მათ, ჩვენმა ხალხმა კი სიღატაკეში დალიოს სული, ჩვენი ახალგაზრდები ნარკოტიკებისგან და ავარიებში იღუპებოდნენ... – სამაგიეროდ, ამის შესახებ არავის ეცოდინება და ყველა პრობლემაც თავისით გადაწყდება?!

ACCENTNEWS.GE

პროკურატურა მირზა სუბელიანისა და ვიქტორ ჯაფარიძის საუბრის ახალ ჩანაწერს ასაჯაროებს

როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე პროკურორმა კოკა კაციტაძემ განაცხადა, გამოძიებით დადგენილია, რომ მოქალაქე ი.პ-სგან ამოღებული მეხსიერების ბარათი სამ ფარულ აუდიოჩანაწერს შეიცავს, რომლებიც სავარაუდოდ საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემის ერთ-ერთ დაწესებულებაშია ჩაწერილი.

„საქართველოს მთავარი პროკურატურა, დაპირებისამებრ, აგრძელებს საზოგადოების ინფორმირებას იმ სისხლის სამართლის საქმის გამოძიების შესახებ, რომელიც პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ მოპოვებისა და შენახვის, აგრეთვე, პატიმრობაში მყოფი პირის კერძო საუბრის უნებართვო ჩაწერის, ჩანაწერის უკანონოდ შენახვისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის, იძულების და სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტებზე ამა წლის 12 ოქტომბერს დაიწყო.

გამოძიებით დადგენილია, რომ მოქალაქე ი.პ-სგან ამოღებული მეხსიერების ბარათი სამ ფარულ აუდიოჩანაწერს შეიცავს, რომლებიც, სავარაუდოდ, საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემის ერთ-ერთ დაწესებულებაშია ჩაწერილი. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ერთ-ერთმა მედიასაშუალებამ უკვე გაასაჯაროვა 11 ოქტომბრით დათარიღებული აუდიოფაილი, რომელზედაც სავარაუდოდ მ.ს.-ს, პარლამენტის წევრის ვიქტორ ჯაფარიძესა და მოქალაქე დავით ცუხიშვილს შორის მიმდინარე საუბრებია ფარულად ჩაწერილი, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, მივიღეთ გადაწყვეტილება, გავასაჯაროოთ 2018 წლის 6 ივლისით დათარიღებული აუდიომასალაც, რომელზეც სავარაუდოდ კვლავ მირზა სუბელიანის და ვიქტორ ჯაფარიძის საუბარია ჩაწერილი. დღეს გავრცელებული აუდიოჩანაწერი, ისევე, როგორც 11 ოქტომბრის და ასევე მეხსიერების ბარათზე არსებული მესამე აუდიოჩანაწერი, რასაკვირველია, მოითხოვს სპეციალურ საექსპერტო კვლევას, რაც უკვე დაწყებულია. გამოძიების ერთ-ერთი ვერსიით, საქმე შესაძლოა გვქონდეს ბრალდებულ მირზა სუბელიანის მცდელობასთან, ცრუ, მის მიერვე გამოგონილი დანაშაულებრივი ფაქტების გასაჯაროების მუქარით ზემოქმედება მოახდინოს მისი ბრალდების საქმის საბოლოო შედეგზე.

ამ დროისთვის გამოძიება გრძელდება დანაშაულთან შემხებლობაში მყოფი ყველა პირის გამოსავლენად, ასევე მედიასაშუალებით გავრცელებულ ფარულ აუდიოჩანაწერში გახმოვანებულ შესაძლო დანაშაულებრივ ფაქტებთან დაკავშირებით. საგამოძიებო ორგანო ყველაფერს აკეთებს, რომ ამ საქმეზე დადგინდეს სიმართლე და დანაშაულში მხილებული ყველა პირი მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში“, – განაცხადა კაციტაძემ.

◎ წინ, საქართველოვ!

ექვსი ჯილდო მოინაგრეს

ბუენოს აირესში გრძელდება მსოფლიოს ახალგაზრდობის მესამე ოლიმპიური თამაშები, რომელშიც წარმატებით ასპარეზობენ ქართველი ათლეტები — მათ უკვე 6 მედალი მოიპოვეს: ერთი ოქროს, ოთხი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოსი.

საქართველოს დელეგაციას ოქროს ჯილდო ამ თამაშების ისტორიაში პირველად სენაკელმა ფალავანმა, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე გიორგი ჩხიკვაძემ მოუტანა. 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში მან ზედიზედ სძლია ჯერ სომეხ საჰაკ ჰოვანესიანს — 3:1, რითაც ევროპის წლევანდელი პირველობის ფინალში მარცხისთვის რევანში აიღო, მერე — ალჟირელ აჰმედ აბდელჰამიკ მერიკის — 13:3. ჩვენებურმა ფინალის პირველივე პერიოდში აშკარა უპირატესობით — 9:0 აჯობა ყირგიზ ელმირბეკ სადურავს.

ევროპის წლევანდელმა ჩემპიონმა გიორგი თოხაძემ (51) ქვეჯგუფში მასპინძელი ედუარდო ლოვერა (6:0) და მარშალის კუნძულების წარმომადგენელი ალექსანდერ ადინივინი (8:0) დაჯაბნა. გადამწყვეტი ორთაბრძოლის პირველ პერიოდს იგი იაპონელ ვატარუ საკის 7:0-ს უგებდა, თუმცა, მეორეში 11 უპასუხო ქულა დაკარგა და 7:11 წააგო.

ასევე, მეორე ადგილზე გავიდა თავისუფალი სტილით მოჭიდავე გიორგი გეგელაშვილი (48 კგ). ფინალამდე მან კოლუმბიელი არმანდო ზულუაგა კუევასი (12:1) და ნაურუელი დაიზიელ დეტუდამო (10:0) ჩამოიცილა გზიდან, მაგრამ გადამწყვეტი შეხვედრა უზბეკ უმიდჯონ ჯალოლოვთან 2:8 წააგო.

წინა დღეებში ვერცხლის მედლები მოიპოვეს ძიუდოისტმა ილია სულამანიძემ (100) და ძალოსანმა არჩილ მალაყმაძემ (69), ხოლო ამ თამაშების პირველი მედალი — „ბრინჯაო“ ტყვიის მსროლელ ნინო ხუციბერიძეს ხვდა. თანამედროვე ხუთჭიდელმა გაგა ხიჯაკაძემ ინდივიდუალურ ტურნირში 1 047 ქულით მე-19 ადგილი დაიკავა, გიორგი კეკიშვილს (უროს ტყორცნა) კი 65.08 მეტრით XIV პოზიცია ერგო..

გივი გაგუა

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

თანამემამულეთა მხარდასაჭერად

იტალია-საქართველოს სატესტო მატჩამდე თვეზე ნაკლები დრო რჩება. სასიხარულოა, რომ ფლორენციაში „ბორჯღალოსანთა“ საგულშემატკივროდ ქართული რაგბის ქომაგები ირაზმებიან. აქედან გამომდინარე, „არტემიო ფრანკის“ სტადიონზე ტრიბუნების მხარდაჭერა არ მოგვაკლდება.

სწორედ ამიტომ ავიაკომპანია „მაივეი ეირლაინზმა“ (Myway Airlines) ქართული რაგბის გულშემატკივართათვის სპეციალური შეთავაზება მოამზადა, რომლის ნახვაც კომპანიის გვერდზეა შესაძლებელი.

მოკლევადიან შეთანხმებაზე, გრძელვადიანი თანამშრომლობის პერსპექტივით, ავიაკომპანიის წარმომადგენლებმა რაგბის კავშირის პრეზიდენტ გოჩა სვანიძესთან ისაუბრეს.

„ამ შესაძლებლობით ვამაყობთ და მოხარულნი ვიქნებით, თუ თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება. „მაივეი ეირლაინზი“ ახალი ქართული ავიაკომპანიაა, რომელიც პირდაპირ ფრენებს ევროპისა და აზიის ქვეყნებში განახორციელებს“, — აცხადებენ ავიაკომპანიაში.

„ჩვენთვის ყველა პარტნიორი ძვირფასია და ურთიერთობის ფორმებს უფრო დიდ ყურადღებას ვაქცევთ. კარგი იქნება, თუ თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება, რადგან ჩვენს ნაკრებ გუნდებს ხშირად უწევთ მგზავრობა სხვადასხვა ქვეყნებში“, — თქვა გოჩა სვანიძემ.

კობა კობახიძე

◎ მარად დაუვიწყარი თარიღი

ნონა გაფრინდაშვილი — საამაყო ჩემპიონი

1962 წლის 17 ოქტომბერი ოქროს ასოებით ჩაიწერა ქართული სპორტის ისტორიაში. მსოფლიო საჭადრაკო სამყაროს ახალი ჩემპიონი მოევლინა — ტახტზე ავიდა ახალი დედოფალი, 21 წლის ნონა გაფრინდაშვილი, რომელმაც საკმაოდ დამაჯერებელი გამარჯვება — 9:2 მოიპოვა იმ დროის მოქმედ ჩემპიონთან, მოსკოველ ელისაბედ ბიკოვასთან. ეს გახლდათ ქართული ჭადრაკის ჭეშმარიტი აღზევება. ამ მომენტის ისტორიული მნიშვნელობა კარგად ესმოდათ სპეციალისტებს, გულშემატკივრებს და თვით ელისაბედ ბიკოვას. ამიტომ იყო, რომ თავის გამოსვლაში მან თქვა: „ძნელია მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დაკარგვა, მაგრამ სევდას მინელებს იმის შეგნება, რომ გვირგვინი ჩავაბარე ღირსეულ ჩემპიონს, რომელიც კიდევ დიდხანს იქნება საჭადრაკო ტახტზე“. ამ მატჩის მსვლელობისას თბილისში და სხვა ქალაქებში სალაპარაკო თემა მხოლოდ ჭადრაკი იყო. ორი ნაცნობი ერთმანეთს რომ ხვდებოდა, პირველი კითხვა ასეთი იყო — ნონა რას შვება, ხომ არ იცით? ასე ჯგუფ-ჯგუფად მთელი ქალაქი განიცდიდა და მოუთმენლად ელოდა მატჩის დასასრულს, რომელიც ერთი თვე გაგრძელდა. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ეს პატარა გოგონა ასე ადვილად უსწორდებოდა გამოცდილ მეტოქეს. ნონას გამარჯვებამ ყველა ძალიან გაახარა და იყო მოლოცვები სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებიდან. მათგან ერთს, განსაკუთრებული სითბოთი წარმოთქმულს გამოვყოფ: „ჩემო პატარა გვირგვინოსანო, მოხარული ვარ შენი ბრწყინვალე გამარჯვებით, ვამაყობ შენი გაბედული და გონიერი თამაშით“ - წერდა ნონას სახალხო პოეტი, აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი. გამართლდა ელისაბედ ბიკოვას სიტყვები, რომელმაც ჩემპიონის ტიტულის ჩამორთმევისას თქვა, რომ ნონა კიდევ დიდხანს იქნებოდა საჭადრაკო ოლიმპზე. აქვე შეგახსენებთ იმ ისტორიულ თარიღებს როცა ნონამ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა:

1965 წელი, რიგა (18 სექტემბერი — 25 ოქტომბერი) — ალა კუშნირთან — 8,5:4,5;

1969 წელი, თბილისი — მოსკოვი (18 აპრილი — 20 მაისი) — ალა კუშნირთან — 8,5:4,5;

1972 წელი, რიგა (10 მაისი — 27 ივნისი) — ალა კუშნირთან — 8,5:7,5;

1975 წელი, ბიჭვინთა — თბილისი (21 ოქტომბერი — 27 ნოემბერი) — ნანა ალექსანდრიასთან — 8,5:3,5.

პირველად მსოფლიო ჭადრაკის ისტორიაში ერთმანეთს ორი ქართველი მოჭადრაკე — ნონა გაფრინდაშვილი და ნანა ალექსანდრია დაუპირისპირდა. სწორედ თავის შეგირდთა შეხვედრაზე ოცნებობდა მათი მწვრთნელი ვახტანგ ქარსელაძე, რომელიც 1966 წელს უკურნებელი სენით გარდაიცვალა, მისი ოცნება კი აღსრულდა...

ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ ჩამოვთვლით ნონას ყველა საჭადრაკო ტიტულს:

— მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი (1962-1978წ);

— საერთაშორისო დიდოსტატი ქალთა (1976) და ვაჟთა შორის(1978);

— სპორტის დამსახურებული ოსტატი (1964), საჭადრაკო ოსკარის მფლობელი (1982);

— 11 გუნდური და 9 პირადი ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი, უფროსი ასაკის მოჭადრაკეთა შორის (65 წელი) ევროპის 2011-2012-2016-2017-2018 წლების გამარჯვებული, ამავე ასაკში მსოფლიოს 1995-2009-2014-2015-2016 წლების ჩემპიონი; საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი პრეზიდენტი (1989-1996წ), 1997 წლიდან საპატიო პრეზიდენტი. 1997 წელს ფიდეს 68-ე კონგრესზე დაწესდა „ნონას თასი“, რომელიც გადაეცემა ქვეყნის ქალთა და ვაჟთა გუნდებს საუკეთესო ჯამური შედეგებით. სათვალავი არ აქვს საერთაშორისო ტურნირებში მის მიერ მოპოვებულ ჩემპიონის ტიტულებს. სულ ახლახან ბათუმში გამართულ საჭადრაკო ოლიმპიადაზე მშვიდობის ელჩის მოვალეობას ასრულებდა, არის ტრადიციული, ქართული ოჯახის სანიმუშო დიასახლისი, საუკეთესო თვისებებით გამორჩეული დედა და ბებია, ღირსების და ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენების კავალერი.

ქალბატონი ნონა მუდამ ქართველი ერის სამსახურშია. გვირგვინმაც ვერ შეცვალა მისი კეთილშობილური ხასიათი. იგი სპეტაკი რეპუტაციით, ხალხის სიყვარულით გამორჩეული გახლავთ. უდავოა, რომ ქ-ნი ნონა თანამედროვე საქართველოს ღირსება და სინდისია.

ბეჟან ჩხეიძე,
ზესტაფონი

◎ ფეხბურთი

„მილანი“ უსეინ ბოლტს ეპატიჟება

ლეგენდარული მორბენალი უსეინ ბოლტი შესაძლოა „მილანის“ ფეხბურთელი გახდეს. როგორც ბრიტანულ Daily Telegraph-ს იამაიკელის აგენტმა ტონი რელისმა განუცხადა, მას კონკრეტული გუნდისგან აქვს წინადადება.

მართალია, რელისს უშუალოდ კლუბის სახელი არ გაუჟღერებია, მაგრამ რამდენიმე მინიშნება გააკეთა და ყოველივე ამის გათვალისწინებით მედია ვარაუდობს, რომ ეს გუნდი „მილანია“.

რელისის განცხადებით, უსეინს 2-წლიან კონტრაქტს (დამატებით ერთი წლის გახანგრძლივების პერსპექტივით) სამხრეთ ევროპის ერთ-ერთი გუნდი სთავაზობს. ბოლტის აგენტმა დაამატა, რომ ამ კლუბს ახლახანს შეეცვალა მფლობელები, მიზნად ჩემპიონთა ლიგაზე გასვლას ისახავს და გასულ სეზონში ქვეყნის თასის ფინალში ითამაშა.

იტალიური მედია კი იტყობინება, რომ არაა გამორიცხული ტრანსფერში კომპანია Puma ჩაერთოს, რომელიც „როსონერის“ ტექნიკური სპონსორია და ამ კომპანიის სახე ბოლტია. საინტერესოა, რომ თუ ტრანსფერი შედგა, ეს იქნება მარკეტინგული თვალსაზრისით უპრეცედენტო შემთხვევა.

შეგახსენებთ, რომ ბოლტმა ბოლო დროს ფეხბურთში მოსინჯა ძალები. თავდაპირველად იგი „დორტმუნდში“ ვარჯიშობდა, ხოლო ამჟამად ავსტრალიური „მარინერსის“ ღირსებას იცავს და რამდენიმე დღის წინ პროფესიონალურ ფეხბურთში პირველი გოლებიც მიითვალა.

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

იცნობდეთ ნორვეგიის სიამაყეს

ევროპაში ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ნორვეგიული ფეხბურთის მზე ჯონ კარეუს თაობის გადაბერების შემდეგ ჩაესვენა. ამ შეხედულებას დიდად აპროტესტებს იქაური მოდელი და მსახიობი ჰეიდი იონსენი, რომელიც სამართლიანად ითვლება მშობლიური საფეხბურთო ნაკრების თილისმად და სახედ.

ბევრმა ქვეყანამ უნდა ინატროს მისებრ გულმხურვალე და პატრიოტი ქომაგი, რომელიც სადაც არ უნდა ჩავიდეს, ყველგან საკუთარი ქვეყნისა და ეროვნული ნაკრების ქებითაა დაკავებული და დღენიადაგ იმას იძახის: **„აგერ, სულ ცოტა ხანი გვაცადეთ და ნახავთ, ნორვეგიელები მსოფლიო ფეხბურთში რა ამბებსაც დავატრიალებთო“.**

რაც შეეხება სამოდელო კარიერას... მშვენიერი ჰეიდი ნორვეგიის საფეხბურთო ნაკრებისგან განსხვავებით ნამდვილად წარმატებული და ცნობადია. იგი პრაქტიკულად მთელი ევროპის მასშტაბით მოღვაწეობს და სამსახიობო კარიერაშიც ბოლო დროს დიდი წინსვლა აქვს. ნორვეგიელ ფეხბურთელებს, მაგალითად, ასეთი ქალი ჰყავთ და, წესით, ცოტა მეტი კი უნდა მოინდომონ...

როსტომ რაჭველიშვილი

ᲣᲡᲐᲮᲚᲙᲐᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲘᲡᲘᲡ ᲐᲠᲥᲝᲜᲐ

ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜ�გᲐᲨᲝ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ

„ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, უსახლკარობა და სათანადო საცხოვრისის არქონა თბილისში განსაკუთრებით რთული პრობლემაა. კვლევის მიხედვით ირკვევა, რომ ამ მიმართულებით მდგომარეობა განსაკუთრებით მას შემდეგ გაუარესდა, რაც სოციალური საცხოვრისის მართვა „თბილისის მუნიციპალურ თავშესაფარს“ დაევალა: გამოვლინდა, რომ **მკვეთრად გაუარესდა საცხოვრისში მცხოვრები ბენეფიციარი ოჯახების სამართლებრივი გარანტიები; მინიმუმამდე იქნა დაყვანილი მათთვის საცხოვრისით გრძელვადიანი სარგებლობის გარანტია:**

„უსახლკარობა და სათანადო საცხოვრისის არქონა განსაკუთრებით რთულ პრობლემას თბილისის მუნიციპალიტეტში წარმოადგენს, რომლის მასშტაბს ოფიციალური სტატისტიკა ცხადად აჩვენებს. 2017 წლის თებერვლის მდგომარეობით, ქალაქ თბილისის მერიაში არსებულ უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის კომისიაში განხილული განაცხადებიდან თითქმის ნახევარს მიენიჭა უსახლკაროს სტატუსი. შესაბამისად, გამოწვევების მასშტაბისა და სისტემურობიდან გამომდინარე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის პოლიტიკის დაგეგმვა და განხორციელება.

2008-2012 წლებში შვეიცარიის განვითარების სააგენტოსა და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში დაიწყო პროექტის „სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში“ განხორციელება. პროექტის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა გრძელვადიანი სოციალური საცხოვრისის ფუნქციონირება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რომელიც დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფდა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მცხოვრებ სოციალურად დაუცველ, დევნილ და უსახლკარო მოსახლეობას, მათი გაძლიერებისა და რესოციალიზაციის ხელშეწყობისათვის.

კვლევა აჩვენებს, რომ მას შემდგომ, რაც სოციალური საცხოვრისის მართვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო, არაკომერციულ იურიდიულ პირს, ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალურ თავშესაფარს“ დაევალა, არსებითად გაუარესდა სოციალურ საცხოვრისში მცხოვრებ პირთა სამართლებრივი მდგომარეობა და მათ შორის, საფრთხის წინაშე აღმოჩნდა სოციალური საცხოვრისის სათანადოდ ფუნქციონირების საკითხი. ამას გარდა, მერიამ, საცხოვრისში მცხოვრები პირების გადამოწმების პროცესი დაიწყო უსახლკარო პირისათვის სტატუსის მინიჭების ახლად შემუშავებული კრიტერიუმებით, რომელიც თავისთავად არ ითვალისწინებს სოციალურ საცხოვრისში მყოფი პირების საცხოვრისის საჭიროების მრავალწლიან გამოცდილებას და ბევრ მათგანს უარი ეთქვა უსახლკაროს სტატუსის მინიჭებაზე მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის ფაქტის არარსებობის გამო, რაც შესაძლოა, მუნიციპალური საცხოვრისის სერვისის შეწყვეტის საფუძველი გახდეს.

ამასთან, გამოვლინდა, რომ მკვეთრად გაუარესდა საცხოვრისში მცხოვრებ ბენეფიციარ ოჯახთა სამართლებრივი გარანტიები. მხარეთა შორის გაფორმებული ახალი ხელშეკრულებები აჩვენებს, რომ მინიმუმამდე იქნა დაყვანილი ბენეფიციარი ოჯახისათვის საცხოვრისით გრძელვადიანი სარგებლობის გარანტია, რამდენადაც პერიოდული ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, ეკონომიკური მდგომარეობის შენარჩუნების პირობებშიც კი, ააიპ „თბილისის მუნიციპალურ თავშესაფარს“ გააჩნია ხელშეკრულების ცალმხრივად და დაუსაბუთებლად შეწყვეტისა და ბენეფიციარისათვის სარგებლობის უფლების შეზღუდვა, რაც სრულიად დაუცველს ხდის ბენეფიციარებს. გარდა ამისა, ბენეფიციარებისათვის ნორმატიულ დონეზე გაუქმებულია მათი გაძლიერებისა და რესოციალიზაციისათვის არსებული გარანტიები, რაც სოციალური საცხოვრისების ფუნქციონირების წამყვანი კომპონენტებია.

მნიშვნელოვანია, რომ ქალაქ თბილისის მერიამ გაიაზროს სოციალური საცხოვრისის — როგორც უსახლკაროების წინააღმდეგ ბრძოლის პირველი გრძელვადიანი სერვისის — არსებობის განსაკუთრებული გამოცდილება, რომელიც განვითარებასა და გაძლიერებას საჭიროებს, რაც ნაცვლად დღეს არსებული დამაზიანებელი და ბუნდოვანი მოქმედებებისა, სოციალური საცხოვრისის სოციალური დატვირთვის გაძლიერებაში, ბენეფიციართა სოციალური უსაფრთხოების გარანტირებასა და მათი მხარდაჭერითი სერვისების დანერგვაში უნდა გამოიხატებოდეს.

accentnews.ge

ᲞᲐᲠᲙᲨᲘ 24 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲘᲚᲘ ᲘᲞᲝᲕᲔᲡ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲨᲘ, კულტურისა და დასვენების პარკში 24 წლის მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს. არსებული ინფორმაციით, გარდაცვლილი ხეზე იყო ჩამოკიდებული. სხვა დეტალები, ჯერჯერობით, უცნობია.

ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲒᲐᲘᲢᲐᲜᲐ

ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲨᲘ, ე.წ. მაღალაშვილის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე, მამაკაცი მატარებლის დაჯახების შედეგად დაიღუპა. როგორც ირკვევა, მამაკაცი რკინიგზის რელსებზე იჯდა, მატარებლის მემანქანის ხმოვანი სიგნალის მიუხედავად, ის რელსებიდან არ გადავიდა, რა დროსაც მატარებელი დაეჯახა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სსკ-ს 275-ე მუხლით დაიწყო, რაც რკინიგზის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 13 ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲔᲡ

ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ, ფიუმიჩინოს აეროპორტში, საქართველოს 13 მოქალაქე დააკავეს.

საზღვრის კვეთისას შემოწმების დროს, მესაზღვრეებმა მათ საბუთები შეუმოწმეს და დაადგინეს, რომ დოკუმენტაცია წესრიგში არ ჰქონდათ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს საკონსულო დაუყოვნებლივ დაუკავშირდა იტალიის პოლიციის სასაზღვრო სამსახურს, სადაც დაადასტურეს, რომ საქართველოს ათ მოქალაქეს არ გააჩნდა საზღვრის კვეთისთვის სავალდებულო რეკვიზიტები, შესაბამისად, ისინი განათავსეს სადეპორტაციო სივრცეში, სადაც უზრუნველყოფილია ჰიგიენურ-სანიტარიული ნორმები.

მოქალაქეები საქართველოში 18 ოქტომბერს დაბრუნდებიან.

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲐᲓ ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲘᲛᲘᲡ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲡ

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲘᲡ პრემიერ-მინისტრი სკოტ მორეისონი ისრაელის დედაქალაქად იერუსალიმის აღიარებისა და საელჩოს იერუსალიმში გადატანის შესაძლებლობას განიხილავს.

ამის შესახებ ინფორმაციას ისრაელის პრემიერ-მინისტრის ბენიამინ ნეთანიაჰუს კანცელარია ავრცელებს.

„პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუსა და ავსტრალიის პრემიერ-მინისტრ სკოტ მორისონს შორის სატელეფონო საუბარი შედგა. ავსტრალიის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ისრაელის დედაქალაქად იერუსალიმის აღიარებისა და ავსტრალიის საელჩოს იერუსალიმში გადატანის შესაძლებლობას განიხილავს“, — ნათქვამია განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ სადღეისოდ საელჩოები იერუსალიმში მხოლოდ აშშ და გვატემალას აქვთ გადატანილი.

ᲬᲘᲜᲐᲠᲔᲗ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲡᲐ და პალესტინას შორის მიმდინარე, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის სახელით ცნობილი დაპირისპირება, უკვე რამდენიმე ათწლეულს ითვლის და ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც მსოფლიო ყურადღების ცენტრშია. მისი წარმოშობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ტერიტორიული დაპირისპირება სახელდება.

ისტორიკოსები აღმოსავლეთის კონფლიქტის სათავედ 1948 წლის 14 მაისს ისრაელის სახელმწიფოს შექმნას მიიჩნევენ. ეს გადაწყვეტილება გაეროს გენერალურ ასამბლეაზე მიიღეს, ისევე როგორც 1947 წლის 29 ნოემბერს პალესტინის ტერიტორიაზე ინგლისის მანდატის გაუქმება და ერთ მიწაზე ორი — ებრაული და არაბული სახელმწიფოს შექმნა . ამან რეგიონში ვითარების ცვლილებას მისცა დასაბამი, რაც გულისხმობდა მსოფლიოს სხვადასხვა წერტილიდან ებრაელთა ტალღის მოდინებას და არაბებს შორის დასახლებას. ამან არაბული სამყარო გააღიზიანა და „პალესტინელი არაბების შევიწროების ფაქტორად“ იქნა აღქმული. გაეროს რეზოლუციის თანახმად, პალესტინის ტერიტორია არაბულ და ებრაულ სახელმწიფოებად გაიყო, შესაბამისად 43, 5 % და 56, 5 % შეფარდებით. იერუსალიმი კი საერთაშორისო კონტროლქვეშა ქალაქად გამოცხადდა. ტერიტორიასთან დაკავშირებით ინტერესთა კონფლიქტი საომარ მოქმედებებში გადაზარდა. ომი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1948 წლის 14 მაისს დაიწყო და მასში მონაწილეობას პალესტინის გარდა, კიდევ 5 არაბული სახელმწიფო იღებდა: ეგვიპტე, იორდანია, სირია, ლიბანი და ერაყი. 1948 წლის ომის შედეგებით, როდოსის ზავის თანახმად, ისრაელის გავლენა გავრცელდა იერუსალიმის დასავლეთ ნაწილზე, იერუსალიმის აღმოსავლეთ ნაწილი კი იორდანიას დაექვემდებარა. ღაზას სექტორი ეგვიპტის გამგებლობაში აღმოჩნდა. 1950 წელს ისრაელის მთავრობა იერუსალიმში გადავიდა და იგი დედაქალაქად გამოაცხადა.

სიტუაცია კიდევ უფრო გამწვავდა 1967 წლის ექვსდღიანი ომის შემდეგ, რომლითაც ისრაელმა მოიპოვა კონტროლი აღმოსავლეთ იერუსალიმსა და მდ.იორდანეს დასავლეთ ნაპირზე არაბული რაიონების ჩათვლით. ეს ტერიტორიები ისრაელსა და პალესტინას შორის დღემდე დავის საგნად რჩება. კონფლიქტის მოგვარებაში სხვადასხვა სახელმწიფოები ჩაერთვნენ, მათ შორის აშშ.

1993 წლის სექტემბერში ოსლოში ისრაელსა და პალესტინას შორის დაიდო შეთანხმება, რომლის თანახმადაც უნდა შექმნილიყო პალესტინური ავტონომია ღაზას სექტორსა და იერიქონში, ჩამოყალიბებულიყო პალესტინის პოლიცია და ადმინისტრაცია. ოსლოში დაწყებული მოლაპარაკებების დასკვნითი აკორდი ვაშინგტონში გაფორმდა ბილ კლინტონის მონაწილეობით, როდესაც ისრაელის პრემიერ-მინისტრმა და პალესტინის წარმომადგენელმა თავიანთი ხელმოწერით დაადასტურეს მშვიდობის დამყარების სურვილი.

ისრაელ-პალესტინის მოლაპარაკებები უკვე რამდენიმე წელია ჩიხში შევიდა. პალესტინელების განცხადებით, ისინი მოლაპარაკებებს იმ პირობით განაახლებენ, თუკი ისრაელი პალესტინის ტერიტორიაზე ებრაელთა დასახლებების მშენებლობას შეაჩერებს და ყველა პოლიტპატიმარს გაათავისუფლებს. ისრაელის პოზიცია კი ამ საკითხზე შემდეგია — პალესტინელები მოლაპარაკების მაგიდას წინაპირობების გარეშე უნდა დაუბრუნდნენ.

ამრიგად, ისრაელსა და პალესტინას შორის არსებულ კონფლიქტს ჯერჯერობით ბოლო არ უჩანს.



ათონის მთაზე რუს მორწმუნეებს ლოცვა აეკრძალებათ

მართლმადიდებლურ სამყაროში განხეთქილების ერთ-ერთი შედეგი, შესაძლოა, გახდეს ათონის მთაზე რუსებისთვის ლოცვის აკრძალვა. ეს განცხადება მინსკში რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის სინოდის სხდომის შემდეგ გაკეთდა.

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილის პრესმდივნის ალექსანდრ ვოლკოვის განცხადებით, მართლმადიდებელ რუსებს აეკრძალებათ ათონის მთაზე ლოცვა.

მისი თქმით, ასეთი იქნება უკრაინაში მართლმადიდებლური ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების გამო რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიისა და კონსტანტინოპოლის პატრიარქის ურთიერთობის გაწყვეტის შედეგი.

ვოლკოვის თქმით, ათონი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს კანონიკური ტერიტორიაა, რომლის ტაძრებშიც რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლი ვერ შეძლებს თაყვანი სცეს და მონაწილეობა მიიღოს ღვთისმსახურებაში.

მინსკში, 15 ოქტომბერს გამართული რუსეთის ეკლესიის სინოდის სხდომის დასრულების შემდეგ მიტროპოლიტმა ილარიონ ალფეევმა განაცხადა, რომ წმინდა სინოდის წევრებმა შეუძლებლად მიიჩნიეს შემდგომში კონსტანტინოპოლის პატრიარქთან ევქარისტული კავშირი. მისივე თქმით, რუსეთის ეკლესიის სინოდი იძულებული გახდა, ასეთი გადაწყვეტილება მიეღო, რადგან ილარიონის თქმით, კონსტანტინოპოლი განხეთქილების მომხრე ძალების გვერდით დადგა და საეკლესიო კანონთა ჩარჩოს მიღმა აღმოჩნდა.

„სქიზმატებისა და სხვა ეკლესიის მიერ ანათემას გადაცემული პირების „თანაზიარებაში მიღებას, მთელი მათ მიერ ხელდასხმული „ეპისკოპოსებითა“ და „სასულიერო დასით“, სხვისი კანონიკური ტერიტორიების მიტაცებას, მცდელობას უკან წაიღოს თავისი ისტორიული გადაწყვეტილებები და მოვალეობები, კონსტანტინოპოლის საპატრიარქო გაჰყავს კანონიკური ველიდან და ჩვენი დიდი მწუხარების მიუხედავად, შეუძლებელს ხდის ვიყოთ ევქარისტიულ კავშირში მის იერარქებთან, სამღვდელოებასა და ერისკაცებთან“, — ნათქვამია განჩინებაში.

რუსეთის ეკლესია, კონსტანტინოპოლის ეკლესიის წმიდა სინოდის 11 ოქტომბრის განჩინებამ გაანაწყენა, რომელშიც საუბარია, მსოფლიო საპატრიარქოს მიერ კიევის პატრიარქის ფილარეტისა და მიტროპოლიტ მაკარისთვის ანათემის მოხსნისა და იმ სინოდალური გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ, რომლითაც მოსკოვის პატრიარქს კიევის მიტროპოლიტის ხელდასხმა შეეძლო. ამავე განჩინებით, კონსტანტინოპოლის ეკლესიამ აღადგინა მსოფლიო საპატრიარქოს სტავროპიგია კიევში.

სასწაულები ხდება: ქალი კომიდან შვილთან შეხვედრამ გამოიყვანა

ბრაზილიაში 28 წლის ქალმა, რომელიც ექიმებს კომიდან ვერ გამოჰყავდათ, მაშინ გაიღვიძა, როდესაც მას თავისი ახალშობილი შვილი მიუყვანეს. ამის შესახებ Daily Mail-ი წერს.

ამანდა და სილვა საავადმყოფოში ორსულობის ბოლო კვირებში ეპილეფსიური შეტევის გამო მოხვდა. ექიმები შიშობდნენ, რომ მორიგი შეტევისას შეიძლებოდა ქალიც და ბავშვიც დაღუპულიყვნენ, ამიტომაც საკეისრო ოპერაცია ჩაატარეს. გართულების თავიდან ასაცილებლად ქალი ხელოვნულ კომაში გადაიყვანეს, თუმცა ქალი გონს ვერ მოვიდა. 23-ე დღეს მედდის შეთავაზებით ქალს მისი შვილი მიუყვანეს. შვილთან შეხების შემდეგ მისი გულისცემა გახშირდა, თვალებიდან კი ცრემლები წამოუვიდა. ამის შემდეგ ქალის მდგომარეობა გაუმჯობესდა, მე-20 დღეს კი ის საავადმყოფოდან გაწერეს.

„მაიკროსოფტის“ დამფუძნებელი პოლ ალენი 65 წლის ასაკში გარდაიცვალა

ამერიკელი მილიარდერი და ფილანტროპი პოლ ალენი ონკოლოგიური დაავადების გართულების შედეგად 65 წლის ასაკში გარდაიცვალა. ალენმა კომპანია „მაიკროსოფტი“ მეგობართან ბილ გეიტსთან ერთად 1975 წელს დააფუძნა. მან კომპანია 1983 წელს დატოვა მას შემდეგ, რაც პირველად დაუსვეს კიბოს დიაგნოზი. მკურნალობის წარმატებული კურსის შემდეგ ალენმა საინვესტიციო საქმიანობა დაიწყო, დააფუძნა კოსმოსური სატრანსპორტო კომპანია Stratolaunch-ი და ხელოვნური ინტელექტის კვლევის და ბიომეცნიერების ინსტიტუტები.

პოლ ალენის ქონება 20 მილიარდ დოლარადაა შეფასებული. ალენმა ორი მილიარდი დახარჯა ქველმოქმედებისთვის, მათ შორის, ებოლას ვირუსთან საბრძოლველად და სიეტლში უსახლკაროთათვის საცხოვრებლების მშენებლობისთვის.

„პოლი იყო ნამდვილი პარტნიორი და ძვირფასი მეგობარი“ — ნათქვამია ბილ გეიტსის სამძიმრის წერილში.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის გამოსაწერად მიმართეთ:

„ელვა სერვისი“
238-26-73; 577 99 16 51
238-26-14; 577 30 88 47

„მაცნე“
214-74-22; 599 982 777

„პლანეტა-ფორტე“
292 18 59; 579 79 99 08

„ჯეომედია“
266-51-13; 593 209 526

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ რედაქციაშიც:
2-99-02-10; 599 797 679.

გაზეთი შეგვიძლია მოგაწოდოთ ელექტრონულადაც, ელ.ფოსტის საშუალებით.

რედაქციას სასწრაფოდ ესაჭიროება კვალიფიციური დამკაბადონებელი. გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ: კოსტავას ქ. №21, II სართული. ტელეფონი: 599-79-76-79, 599-53-76-16, 599-36-00-35.

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“
კოსტავას ქ. №21.
599 79-76-79;
568 82-09-84

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6664; ევრო - 3.0925;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5076;
100 რუბლი - 3.9742; თურქული ლირა - 0.4584;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5731;
1000 სომხური დრამი - 5.4921.

ამინდი 17 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +8,	დღე +23
მთიანი რაიონები -	ღამე +4,	დღე +24
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +13,	დღე +29
მთიანი რაიონები -	ღამე +6,	დღე +28
თბილისი:	ღამე +13,	დღე +21

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge

ფიქრთ გასართველად